№ 2886
შაბათი,
13 აგვისტო

ცნობის ფურცელი

№ 2886
შაბათი,
13 აგვისტო

ხელის-მოწერა: წლიწადში—6მ. „თვეში უდამატებოთ—50 კ. დამატებით—75 კ.; ნომერი—3კ., დამატებით—5 კ. ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი „პეტიტით. პირველ გვერდზე—10 კ., მეოთხეზე—5კ. ხელის-მოწერა და დასაბეჭდი განცხადებანი მიიღება: „ცნობის ფურც." რედაქციის კანტორაში ვანქის ქუჩაზე, № 27. განცხადებანი რუსეთიდან და საზღვარ-გარეთიდან მიიღება ლ. და გ. მეტცლისა და კ°. განცხადებათა კანტორებში მოსკოვსა და პეტერბურგში.

ყოველ-დღიური გამოცემა
1896—1905

ხელ-მოუწერელი წერილები არ დაიბეჭდება.—დასაბეჭდი წერილები რედაქციის სახელობაზე უნდა გამოიგზავნოს.—პირადპირ მოლაპარაკება რედაქციასთან შეიძლება ყოველ დღე, კვირა-უქმეების გარდა, შუადღის 11—1-ლ საათამდე.—დაუბეჭდავს მცირე წერილებს და კორესპონდენციებს რედაქცია არ ინახავს; ხოლო ვრცელი წერილები ინახება ერთის თვის განმავლობაში.
ფოსტის ადრესი: Тифлисъ, въ редакцію „Цнобисъ-Пурцели"-„Моамбе". ტელეფონი № 37.

იოსებ პეტრეს ძე ჩარექოვი გულითადის მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობთ გარდაცვალებას თავის ძვირფასის და დაუვიწყარის მეუღლის

სუსანნა (ალექსანდრა) არტემის ასული ჩარექოვისას,

გარდაცვალებულის გვამს გაასვენებენ თავის ბინიდან (გოლოვინის პრ., სახლი № 28) 17 აგვისტოს, დილის 10 საათზე, კათოლიკეთა მიძინების ეკლესიაში. პანაშვიდები 14, 15 და 16 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე. (2—1)

ჯავრისაგან შეწუხებულნი **არტემ ივანეს ძე და ანნა ანტონის ასული გურგენოვები** შვილებითურთ აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ გარდაიცვალა ძვირფასი ქალიშვილი პირველთა და მეორეთა

სუსანა (ალექსანდრა) ჩარექოვისა.

გარდაცვალებულს გაასვენებენ თავის ბინიდან (გოლოვინის პრ., სახლი № 28) 17 აგვისტოს, დილის 10 საათზე კათოლიკეთა მიძინების ეკლესიაში. პანაშვიდები 14, 15 და 16 აგვისტოს, საღამოს 7 საათზე. (2—1)

თავ. გიორგი დიმიტრის ძე ბაგრატიონ-მუხრანსკი, მარიამ ხარდიონის ასული ბაგრატიონ-მუხრანსკისა და ეფემია ლევანის ასული ბაგრატიონ-მუხრანსკისა აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, უდროოდ გარდაცვალებას

თ. ივანე დიმიტრის ძის ბაგრატიონ-მუხრანსკისას.

დაკრძალვა მოხდება 14 აგვისტოს დილის 10 საათზე, სოფელ ძალისში დუშეთის მაზრა. (1—316—1)

ანნა სარადონის ასული ხომერიკისა, იაკინთე, არტემ და ნაკიფორე ეგნატეს ძენი ხომერიკები აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ სამშაბათს, 16 აგვისტოს სამღვთოს იოვანე ნათლისმცემლის ეკლესიაზედ დანიშნულია ორმოცი დღის წირვა და პანაშვიდი გარდაცვალებულის

ნიკიტა (ნიკა) ეგნატეს ძის ხომერიკის

სულის მოსახსენებლად.

იშვიათი ვაჭრობა

„ძმ. აკოფჯანოვების და სარქისიანცის"

ამხანაგობა

ამით აცნობებს ტფილისის პატივცემულ საზოგადოებას, რომ რადგან ბ-ნი სარქისიანი ამხანაგობიდან გავიდა და რადგან საქმის მოწესრიგებაა საჭირო, ამა თვის 11-დან დაინიშნა

ვაჭრობა

მაღაზიაში, რომელიც მიხეილის ხიდზეა, ს. ქამოევის სახლში. ამხანაგობის მაღაზიასა და საწყობში არის საქონელი

100,000 მანეთისა.

მთელი საქონელი, მომზადებული საკუთარ ქარხანაში ოდესას, დაჯდა ისე იაფად, რომ შესაძლებელი ხდება ამაზე ნაკლები ფასები დაინიშნოს, რასაც არც გაჭრობის დროს ქალაქის ფირმები ნიშნავენ.
საქონელი თავის თვისებით, სიკარგით და სიიაფით ყოველ კონკურენციის გარეშეა.
ამხანაგობა სთხოვს მუშტარს ნუ შეაწუხებს ნაყიდ საქონლის მეტის გადაკეთებით.

ფასები შეუვაჭრებლად.

ამხანაგობა სთხოვს პატივცემულ საზოგადოებას კეთილ ინებოს და თვითონ მობრძანდეს. (0—81)

წინამძღვარიანთ კარის სამეურნეო სასწავლებელში თავისუფალი მასწავლებლის ადგილია. ვისაც სურვილი აქვს ემსახუროს ამ ერთად-ერთს ქართულს სამეურნეო სკოლას წრფელის გულით და სიყვარულით სამშობლოსი, უნდა იყოს გამოცდილი პედაგოგი, განვითარებულ ქართულ ენაში და სხვა საგნებში.

ამ სკოლას, თავის წესდებით, აქვს უფლება, ექვსი წლის განმავლობაში, ყველა სამოსწავლო საგანი, პროგრამაში ნაჩვენები, მოსწავლეთ ქართულად ასწავლოს; რუსული ენა კი სუფევს, როგორც საგანი.

ვისაც სურვილი აქვს მიიღოს ეს ადგილი, მან უნდა მიმართოს ქ. ტფილისში, მზრუნველს და დამაარსებელს ამ სკოლისას, ილია ივანეს ძე წინამძღვარიშვილს, ტფილისის ნოტარიუსს.

მასწავლებელს ექმნება სადგომათ ორი ოთახი, თავის აივნით, შეშა, ნავთი და სამოცი თუმანი ჯამაგირი წელიწადში.

სკოლა განაგრძობს სწავლას პირველ სექტემბრიდან ამა წლისა, სადაც მიიღებიან მოსწავლეთ ჯანმრთელნი და კარგი ყოფაქცევის ყმაწვილები, არა ნაკლებ ათის წლისა. (6. 3—1)

ქუთაისის საქალო სამეურნეო საზოგადოების „შრომა"-ს საბჭო ამით აცხადებს, რომ სწავლა **საზოგადოების სამეურნეო სკოლაში** განახლდება პირველ სექტემბრიდან ამა მდგომარე წლისა. ამა სამოსწავლო წელს გაიხსნება მეორე კლასი. ფასი სწავლისა იგივე რჩება, რაც შარშან იყო, ე. ი. პანსიონერზე ასოცდაათი მანეთი (130 მ.) და მოსიარულე მოსწავლეზე ოცი მანეთი (20 მ.) წელიწადში. თხოვნა სკოლაში მიღების შესახებ უნდა დაიწეროს სკოლის გამგის სახელზე. ფოსტის ადრესი: Секретарю Совѣта Общества „Шрома" I. К. Такайшвили, для передачи завѣдывающей школою общества, въ городъ Кутаисъ. Контора нотаріуса Анджапаридзе. (7—2)

კბილის ექიმი
ი. ზ. ქანდელაკი.
იღებს კბილის სნეულებით ავადმყოფებს, უკეთებს პლომბებს და სვამს ახალ კბილებს ყოველგვარ მეთოდზე. დილის 9—2 და საღამოს 4—7 საათამდე,

„ქართულ დრამის ამხანაგობის გამგეობა" ამით აცხადებს, რომ 31 ივლისისათვის მოწვეული ამხანაგობის წევრთა კრება არ შესდგა. მეორე კრება ამხანაგობის წევრთა დანიშნულია სამშაბათს, **16 აგვისტოს, საღამოს 7** საათზედ დრამატიულ საზოგადოების კანტორაში. კრება კანონიერი იქნება, რამდენი წევრიც უნდა დაესწროს.

განსახილველი საგნები შემდეგია:
1. 1904/5 წლის სეზონის ანგარიშის განხილვა და დამტკიცება.
2. სარევიზიო კომისიის მოხსენება.
3. ლიკვიდაცია ამხანაგობისა.

(1—6.—1).

ქუთაისის ექვს კლასიან საქალაქო სასწავლებელში (პირველ) შესვლის მსურველთა გამოცდა დანიშნულია ამა 195/6 წლის **23, 24** და **25** აგვისტოსთვის, დილის 8 საათიდან.

სასწავლებელში შესვლის მსურველთ თხოვნა და მასთან ერთად ნათლობის მოწმობა უნდა შემოიტანონ სასწავლებლის ინსპექტორის სახელობაზე დილის 7 საათიდან შუადღის 12 საათამდე ყოველ დღე, კვირაუქმეებს გარდა.

საპედაგოგიო კურსებზე შესვლის მსურველთ უნდა წარმოადგინონ ნათლობის მოწმობის გარდა ატესტატი სამოქალაქო, 31 მაისს 1872 წლ. დებულ; სასწავლებელში სწავლის დამთავრებისა. (3—6.—2)

ექიმი
ვ. ს. მუსხელიშვილი
მიიღებს თვალებით ავადმყოფებს: დილით 12—2 ს. საღამოთი 6—7 ს. ყოველ დღე გარდა სამშაბათისა. ქუთხე კირკის და დიდი მთავრის ქუჩებისა სახლი სვანიძისა **№ 15.**

ექიმი
გ. ა. გედალინი
მადათოვის ქუჩა, **№ 5,** ალექსანდრეს ბაღის ეკლესიის პირდაპირ.
ყოველ დღე იღებს სიფილისითა, ვენერიულ და კანის სენით ავადმყოფთ. დილით 8-დან 9 საათამდე საღამოთი 5-დან—8 საათამდე. (80—6.—17)

საუკეთესოდ მოწყობილი
ასოების ჩამოსასხმელი ქარხანა
წიგ. გამ. ქართ. ამხანაგობისა.
ამზადებს ყოველნაირ ქართულს, რუსულს, სომხურს და თათრულს ასოებს.

რუსეთ-იაპონიის ომი

დეპეშები

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან"
11 აგვისტო

პეტერბურგი. ლინევიჩის დეპეშა 9 აგვისტოს თარიღით: „ხაილუნჩენის რაიონში 7 აგვისტოს, მდ. ცინხეს ხეობაში გავგზავნეთ ერთი რაზმი შიმიაოცზისკენ; მან გააძევა მტრის დამცველი რაზმი, წინა საფრები-კი დაიჭირა ჩვენმა მოწინავე რაზმმა, რომელიც 500 ნაბიჯზე მიუახლოვდა მტრის პოზიციას. მოლოიშანის მხრივ, 18 ვერსის მანძილზე, სამხრეთ-აღმოსავლეთით ბეიშანჩენცზიდან, წინ გაილაშქრა ჩვენმა მესამე რაზმმა, რომელმაც გააძევა მტერი უღელტეხილიდან და, არტილერიის საშუალებით, სამხრეთისაკენ დაახევინა. იულანცზისთან პოზიციებისკენ გავგზავნე სამი კოლონა—ფრონტსა და ორივე ფრთის გარშემოსავლელად. გაძევებულ იქმნენ იაპონელების როტები წინა საფრებიდან და მით მთავარ პოზიციიდან სუნჟანისკენ დაიხიეს, 5 ვერსტზე სამხრეთით. იაპონელების კონტრ-იერიში მოგერებულ იქნა და შეერთებულმა რაზმმა დაზვერა სუნჟანის პოზიციები. კორეიაში, 8 აგვისტოს იაპონელების რაზმმა წინ გაილაშქრა უნტეისა და ორკშინდონეს შუა კიანკოროგუისკენ, მაგრამ მოგერებულ იქმნა.

პორტ-სმუტი, 11 აგვისტო. ვიტტემ განუცხადა „მატენ"-ის კორესპონდენტს, არა მგონია, რომ რუსეთი დასთანხმდეს სახალინის გამოსყიდვას, რაც იმავე კონტრიბუციის გადახდას მოასწავებდაო.

პორტ-სმუტი, 10 აგვისტო. „დეილი-ტელეგრაფი" იუწყება: „იქნება არ იციო, რომ ვიტტე უკვე შეეკითხა კომურას, ტყვეებზე დახარჯული ფული რამდენს უდრისო. კომურამ უარი უთხრა. ტყვეებზე დანახარჯის საზღაურსა და კონტრიბუციის შორის მეტად დიდი განსხვავებაა".

ნიუ-იორკი, 11 აგვისტო. ამერიკის მთავრობის გაზეთი ამტკიცებს, რუსეთის მთავრობამ პირობა შეჰკრა უკვე ზოგიერთ საზღვაოსნო საზოგადოებებთან, რადგანაც დიდ-ძალი ჯარი უნდა იქნას გადმოყვანილი შორეულ-აღმოსავლეთიდანო.

პორტ-სმუტი, 11 აგვისტო. ოისტერბეიდან გუშინ რუზველტი განუწყვეტლივ ელაპარაკებოდა პორტ-სმუტში. აქ მტკიცედ არიან დარწმუნებულნი, რომ რუზველტი მოახერხებს ზავის სასურველად დაბოლოვებას.

ტოკიო, 11 აგვისტო. იაპონიის პრესსა მტკიცედ სდგას ზავზე მოლაპარაკების შესახებ: მას არ ეტყობა, რომ განზრახვა ჰქონდეს რაიმე დაუთმოს. ასევე იქცევა სავაჭრო და სამრეწველო გაზეთები: ან იაპონიის მოთხოვნების მიღება, ან ომის გაგრძელებაო—ამბობენ იგინი.

ოისტერბეი, 11 აგვისტო. გუშინ რუზველტის სეკრეტრები პეტერბურგიდან მეიერის მიერ გამოგზავნილ შიფრიან დეპეშების წაკითხვაში იყვნენ გართული. რუზველტი ისევ ისეა სავსე ზავის ჩამოგდების იმედებით.

პეტერბურგი. შუვალოვის მღვდელ კუდიკოვსკის საკასაციო საჩივარი უყურადღებოდ იქნა დატოვებული.

ალექსანდრე ნეველის ლავრა ზომებს იღებს დამშეულ გუბერნიებში. ხალხის მდგომარეობის შესამსუბუქებლად. ლავრამ უარი სთქვა 400 ათას მანეთის შემოსავალზე დამშეულ გუბერნიებიდან და გადასწყვიტა კიდევ შესწიროს 2,500,000 მან. ამ ფულებიდან სესხს გასცემენ იმ პირობით, რომ ეს ფული სკოლებისა და თავშესაფრების სასარგებლოდ იქნას შეტანილი. თუ პროექტი დაამტკიცეს, 70 მილ. მან. სახალხო განათლების საქმეს უნდა შესწიროს ლავრამ.—პროექტს ამუშავებენ ბაქოსა და საბუნჩა-ბალახანის სამრეწველო რაიონში საგრადანაჩალნიკოს შემოღების შესახებ.

პეტერბურგი. მოგილევის რომაელ-კათოლიკეთა არქი-ეპისკოპოსის უფროსად, ახ გარდაცვალებულ მიტროპოლიტ გრაფ შემბეკის ადგილას დაინიშნა პრელატი დენისევიჩი.

მოსკოვი. სრულიად ერობის ორგანიზაცია წითელის ჯვრისა ხელის მოწერას მართავს დამშეულ გუბერნიების დასახმარებლად.—მოსკოვის სასწავლებელი მხატვრობისა, ქანდაკებისა და ხუროთ-მოძღვრებისა გადაკეთდა უმაღლეს სასწავლებლად და ეწოდა „საიმპერატორო სასწავლებელი ხელოვნებათა" ისეთივე უფლებით, როგორც ხელოვნებათა აკადემია.

ვარშავა, 11 აგვისტო. სახალხო განათლების სამინისტრომ განმარტა, რომ კერძო საშუალო სასწავლებლებს, რომელთაც მთავრობის სასწავ-

პოლონურ ენაზე ასწავლონ ყველა საგნები, გარდა ისტორიისა და მათემატიკისა.

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"
10 აგვისტო

პორტ-სმუტი, 11 აგვისტო. ამერიკაში, „ლოკალ ანცაიგერ"-ის სიტყვით, დარწმუნებული არიან, რომ ზავი ჩამოვარდება. ბოსტონისა და ნიუ-იორკის გაზეთებში ასეთი სათაური იყო მოთავსებული: „ზავი უზრუნველ ყოფილია".

ოისტერბეი, 11 აგვისტო „ნიუ-იორკ-ჰერალდი" რუზველტმა 500 სიტყვიანი დეპეშა მიიღო პეტერბურგიდან შეერთებულ შტატების ელჩისაგან. ამავე დეპეშაში იუწყება ელჩი, რომ მას ორი საათის განმავლობაში ჰქონდა აუდიენცია ხელმწიფესთან 10 აგვისტოს. დეპეშა საიდუმლოებითაა მოცული. იციან მხოლოდ, რომ რუზველტს დიდი იმედი აქვს ზავისა.

პარიზი, 11 აგვისტო. კონფერენციის გადადებას იმითი ხსნიან, რომ იაპონიას და რუსეთს შეთანხმება უნდათო. თითქმის ყველა გაზეთი იმ აზრისაა, რომ ზავის შანსმა იმატა. ბირჟაზე ოპტიმიზმია.

ბერლინი. ჰამბურგისა, ალტონისა, კუქსგავენისა და ჰარბურგის ყასაბთა კავშირი აუდიენციას თხოულობს იმპერატორთან, რათა აუხსნას მას ხორცის კრიზისის მიზეზი და სთხოვოს, გახსნას საზღვრები საქონლის გადასაყვანად და დროებით მოხსნას ბაჟი ხორცზე.

კიევი, 11 აგვისტო. გასულ ღამეს, სადგურ რადომთან, ივანგოროდიდან დომბროვს მიმავალ მატარებელს რამდენჯერმე ესროლეს. არავინ არ დაშავებულა.

ჰელსინგფორსი, 11 აგვისტო. ფინლიანდიის სენატმა უბრძანა სტატს-კანტორას, მისცეს სახელმწიფო ბანკის განყოფილებას ჰელსინგფორსში და გადასცეს სახელმწიფო ხაზინას 10 მილ. მარკა, რომელიც რუსეთის სამხედრო საჭიროებისთვის გადასდო წელს ფინლიანდიის სეიმმა.

ჟურნალ-გაზეთებიდან

რუსულ გაზეთის აზრი ომსა და ზავზე. ზოგიერთი რუსული გაზეთი, მაგალითად, „ნოვოე ვრემია", „მოსკოვსკია ვედომოსტი" და სხვები, დაჟინებით თხოულობს იაპონიას მეტს ნუღარას დაუთმობთ, სამარცხვინო ზავს ომის გაგრძელება სჯობიაო. სამაგიეროდ რუსულ პრესის საუკეთესო ნაწილი, „ნაშა ჟიზნ"-ი და სხვები ამტკიცებენ, რომ ომის გაგრძელებას არავითარი აზრი არა აქვს და უსათუოდ უნდა შევურიგდეთ იაპონიასო. „ნაშა ჟიზნ"-ი სწერს: იაპონიის აზრი ახლანდელ ომზე მთლიანი და ერთიანია. მთელი იაპონიის საზოგადოება უკანასკნელ კურტნის მუშამდე, ყველანი ერთნაირად უყურებენ ომსა და ყველას ერთნაირად ესმის იმისი ეროვნული მნიშვნელობა. სულ სხვაა ჩვენში. რუსეთში ბევრნაირი აზრია, მაგრამ ეს აზრები გულწრფელი და მტკიცე არაა და მომეტებულ ნაწილად თავის თავის მოსატყუებლად გამოითქმის. მართლაც და განა სერიოზულად ჩაითვლება ის აზრი, ვითომ ეს ომი რუსეთის გულუბრყვილო, მინდობილ მშვიდობის მოყვარეობისა და იაპონიის მზაკვრულ მოქმედების შედეგი იყოს? რუსეთს არა ჰსურდა ომი, მაგრამ ამავე დროს არც მანჯურიიდან ჯარის გაყვანა ჰსურდა. რუსეთი არ ელოდა ომს და არც მზად იყო საომრად, მაგრამ იმიტომ კი არა, რომ ვითომ ომისათვის არ ემზადებოდა, პირიქით, რუსეთი მხოლოდ იმიტომ არ ელოდა ომს, რომ თავის თავი კარგად ეგონა მომზადებული საომრად. მხოლოდ თავის ძლიერების იმედით დაიჭირა რუსეთმა მანჯურია. რუსეთს სწამდა, რომ იმისი ძლიერება ყველასათვის ცხადი იყო, იაპონია ომს ვერ გაუბედავდა და თუ გაუბედავდა, სასტიკად დაისჯებოდა. ომამდე იაპონიის ძალას ძლიერ ამცირებდნენ და ამიტომ რუსეთი შესანიშნავად მომზადებული ეგონათ ომისთვის. მაგრამ იაპონია გაცილებით ძლიერი გამოდგა და მას შემდეგ გავრცელდა ჩვენში აზრი, ვითომ რუსეთი ომისთვის არ ემზადებოდაო.

ასეთივე ყალბია მეორე შეხედულება ომზე, ვითომ ეხლანდელი ომი ისტორიულ აუცილებლობისა და რუსეთის და იაპონიის განსხვავებულ ეროვნულ ინტერესთა შეტაკების შედეგიაო. რაც გინდა ბრძანეთ და ბ. ბ. აბაზა, ბეზობრაზოვი და სხვები ისტორიულ აუცილებლობის წარმომადგენლებად ჩაითვლებიან? რასაკვირველია, ისტორიაში ამისთანა ამბებიც აუცილებელი გახდება ხოლმე, მაგრამ ეხლანდელი ომი

ცოდვებმა გამოიწვია და არა მომავალმა ისტორიულმა მიზანმა. რუსის ხალხის უმეტესობას არც კი ესმის ახლანდელ ომის მნიშვნელობა; აქედან სჩანს, რომ ეს ომი არც რუსეთის ისტორიულ განვითარების აუცილებელი შედეგია. საქმეც იმაშია, რომ რუსის ხალხს მანჯურიის დაჭერა ისტორიულ საქმედ არ მიაჩნია და ვერც გაუგია, რისთვის დაგვეჭირდა ჩინეთის პროვინცია, რომელიც მაშინვე „ჟელტო-როსიის" სახელით მონათლეს. რუსის ხალხის უმეტესობას რომ ჰკითხო, დარწმუნებული ვართ, გიპასუხებენ, მანჯურია მუქთადაც არ გვინდაო. მანჯურიისათვის ომი პირველ ხარისხოვან სამხედრო სახელმწიფოსთან (იაპონიასთან) ჩვენ უკიდურეს ნაციონალისტებსაც-კი არ მოუვათ ჭკუაში. ამნაირად, რუსეთ-იაპონიის ომს, მანჯურიის გულისათვის ატეხილს, არავითარი აზრი არა ჰქონდა, არც აქვს: ჩვენთვის ეს უსარგებლო, ყოვლად სულელური ომია; ჩვენ მზადა ვართ ზავი ჩამოვაგდოთ, იმიტომ რომ გინდ გავიმარჯვოთ, მაინც ვერაფერს ვერ მოვიგებთ. მეტადრე ეხლა, ფლოტის დაღუპვის შემდეგ, ომის გაგრძელებას არავითარი აზრი აღარ აქვს ჩვენთვის; ვერაფერს ვერ გავხდებით იაპონელებთან და კვანტუნსა, კორეიასა და სახალინს ვეღარ დავიბრუნებთ. ასე რომ ომის გაგრძელებას რუსეთისათვის აღარავითარი მნიშვნელობა აღარა აქვს. არც თუ იაპონიისათვის აქვს აზრი ომის გაგრძელებას, რადგან „ამომავალ მზის ქვეყანამ" ყველა თავისი სურვილი შეისრულა, ამიტომ გაზეთს იმედი აქვს, რომ ორივე მხარე მოლაპარაკების დროს დაუთმობენ ერთმანეთს და შერიგდებიანო.

იაპონურ პრესის აზრი ზავზე. იაპონური გაზეთები შენიშნავენ: მთელი ქვეყნიერობა აფასებს იაპონიის პირობების ზომიერებას. ამ პირობის მომეტებული ნაწილი იაპონიამ ძალით შეასრულებინა რუსეთს. იაპონელებმა სახალინი, ლიაოდუნის ნახევარკუნძული და რკინის გზის ორი მესამედი დაიჭირეს, რუსის ფლოტი გაანადგურეს და კორეიაზე პროტექტორატი დააწესეს. ეხლა იაპონია რუსეთს მხოლოდ დასაზღვევ პრემიას-ღა სთხოვს მომავალ დამარცხებისაგან. თუ რუსეთს მძიმე პირობად მიაჩნია იაპონიის პირობა, ურჩევნია ზავზე მოლაპარაკება მერმისამდე გადასდვას. მაშინ სახალინის გარდა იაპონია ბევრ სხვა ადგილებსაც გამოართმევს რუსეთს. რუსეთს ჰსურს სახელი არ გაიტეხოს და ამისთვის მოლაპარაკებას აჭიანურებს. ისე მოქმედებს, როგორც ჩინეთი მოქმედებდა 10 წლის წინად. გასაკვირველი არაა, რომ რუსეთი დამცირებას ჰგრძნობს, მაგრამ ამ გრძნობამ, თუ უკიდურესობამდე გააზვიადეს, უფრო მეტს დამცირებამდე და იქნება სრულ დაღუპვამდეც მიიყვანოს. ძლევა მოსილი იაპონია სამშვიდობო კონფერენციას ამერიკის პრეზიდენტის რაინდულ მეცადინეობისა გამო დასთანხმდა, მაგრამ თუ რუსეთი თავისს ხრიკებს არ მოიშლის, განათლებულ სახელმწიფოების თანაგრძნობას დაჰკარგავს და განმარტოებული დარჩება.

იაპონიის არმია მანჯურიაში. „ტაიმს"-ის კორესპონდენტი იუწყება გენ. ნოგის არმიიდან: „საცაა წვიმების პერიოდი გათავდება. იაპონიის არმია მოუთმენლად ელის, როდის უბრძანებენ წინ გალაშქრებას. აქ, ომის ასპარეზზე არა სჯერათ ზავის ჩამოგდება და თუ მართლა შერიგება მოხდა, იაპონიის არმიას ძლიერ ეწყინება და გულს დააკლდება. ყველა ახალგაზდა იაპონელ აფიცერს გულწრფელად სწადიან ბრძოლა. ძველი აფიცრებიც ფიქრობენ, ომი რომ გაგრძელდეს, იაპონია უფრო სასარგებლო პირობით შეჰკრავს ზავსაო". („რ.").

გენ. ლინევიჩის დეპეშა. იაპონელები იუწყებიან: პეტერბურგში ვიტტეს დეპეშასთან ერთად გენ. ლინევიჩის ახალი დეპეშა მიიღეს. რუსის მთავარ-სარდალი აღნიშნავს, იაპონიის არმია სულით დაეცა და გულ-გატეხილიაო, რუსის არმიას კი გულწრფელად სწყურიან ბრძოლაო. გენ. ლინევიჩი ხელახლად იხვეწება თავის ჯარის სახელით, ზავს ნუ შეჰკრავთო. („რ. გ.").

ტყუილი ცნობა. „რუსკოე სლოვო"-ს კორესპონდენტი კლიმკოვი დეპეშით იუწყება გუნჩულინიდან: სააგენტოს დეპეშები ბოლოს დროს არა იშვიათად იუწყებიან, ვითომ იაპონიის არმიაში შავი ჭირი, ხოლერა და სხვა მრავალი მოარული სენი მძვინვარებდეს; იმასაც-კი იუწყებიან, ვითომ

ნაირი ცნობა და ხმა მუდამ ტყუილი გამომდგარა და რუსის ჯარსაც ცუდ სამსახურს უწევდა ხოლმე.

ზავზე მოლაპარაკება. ვაშინგტონის გაზეთებმა შემდეგი განცხადება დაბეჭდეს ამერიკის სახელმწიფო დეპარტამენტის რჩევით: ჩვენ ვერ წარმოგვიდგენია, რომ ზავზე მოლაპარაკება სამხედრო საზღაურისა და სახალინის თაობაზე ჩაიშალოს. ჯერ კიდევ რწმუნებულთა დანიშვნამდე პეტერბურგის მთავრობას იაპონიის პირობა შეატყობინეს და იქ გადაჭრით იყო ნათქვამი სახალინის დათმობასა და სამხედრო საზღაურის გადახდაზე. რუსეთმა არ უარ-ჰყო მაშინ ეს ორი მოთხოვნილება, თორემ წინააღმდეგ შემთხვევაში კონფერენცია აღარ იქნებოდა მოწვეული. მას აქეთ იაპონიამ იარაღის ძალით დაიპყრო სახალინი და ძნელად თუ დასთმობს-ღა ამ კუნძულს. იაპონიას სრული კანონიერი უფლება აქვს აგრეთვე სამხედრო საზღაურიც მოითხოვოს; რაღა თქმა უნდა, რუსეთს არავინ ჰძალუძლის, ეცადოს და მოთხოვნილი სუმა შეამცირებინოს იაპონელებს. („რ. ს.“).

„მატენ“-ს ატყობინებენ პორტ-სმუტიდან: ვიტტესა და კომურას მრავალი უსახელო წერილი მოსდით. უცნობი კორესპონდენტები ათასნაირ რჩევას აძლევენ დიპლომატებს, ზოგიერთი მუქარასაც უთვლის, უსათუოდ უნდა შეჰრიგდეთო. ერთს უცნობ კაცს ვიტტესათვის მიუწერია: მიკვირს, განა წინადვე არ იცოდით, რომ იაპონია ფულს მოგთხოვდათ, მაშ რისთვის-ღა მოხველით პორტ-სმუტში და ეხლა უარს რად ამბობთ ფულის გადახდაზეო. („რ.“).

„ნოვოე ვრემია“-ს კორესპონდენტი იუწყება პორტ-სმუტიდან: ამერიკის პრესსა ერთხმად ურჩევს რუსეთს, რაც შეიძლება მალე შეკრათ ზავი, თორემ იაპონიის არმია დაამარცხებს თქვენს არმიასაო.

„სლოვო“-ს კორესპონდენტი იწერება პორტ-სმუტიდან, 5 აგვისტოს თარიღით: რუსეთის რწმუნებულნი ამტკიცებდნენ, რომ მანჯურიის რკინის გზის სამხრეთი ნაწილი (პორტ-არტურიდან ხარბინამდე) კერძო კამპანიის საკუთრებას შეადგენს და იმისი ჩამორთმევა შეუძლებელიაო. და თუ რუსის კაპიტალისტების მონაწილეობა ამ გზაში სასურველად არ ჩაითვლება, შეიძლება, ჩინეთს უფლება მიეცეს ეს გზა დაუყოვნებლივ შეისყიდოსო. მაგრამ კომურამ საფუძვლიანად და სრულის სიდინჯით დაამტკიცა, რომ ეგ ფარდა ვერა ჰფარავს საქმის შინაარსსაო. ამ ნამდვილად საზარალო გზას სტრატეგიული მნიშვნელობა აქვს, კერძო კაპიტალისტებს ხელს არ მისცემთ ასეთ საქმეში მონაწილეობა ფაქტიურად ეს გზა რუსის მთავრობამ ააშენა პორტ-არტურისათვის და ამიტომ იაპონიას უნდა დაეთმოს. ეტყობა, რუსეთის რწმუნებულთ ხელად დაუთმეს ამ მუხლში იაპონელებს“.

საავგენტოს დეპეშებიდანაც ვიცით, რომ ეს გზა იაპონიისათვის დაუთმია რუსეთს.

ბანკირების დაპირება. ნიუ-იორკში ლაპარაკობენ, ბანკირების სინდიკატი იაპონიას ახალ სესხს დაჰპირდა, თუ ვინიცობაა ომის გაგრძელება მოუხდაო. („რ. ს.“).

მოსკოვის პრესსა 6 აგვისტოს კანონის შესახებ

ჩვენის მკითხველებისათვის მეტად საინტერესოა, რასაკვირველია, რუსულ პრესსის აზრი 6 აგვისტოს გამოცხადებულ კანონის შესახებ. როგორც ვიცით, რუსეთის მოწინავე საზოგადოება და პრესსა უფრო პროგრესიულ კანონს მოელოდა, ვიდრე ბულიგინის მიერ შემუშავებული სახალხო წარმომადგენლობის პროექტი გამოდგა. უმეტესობა მოელოდა, რომ სახელმწიფო სათათბიროს გადამწყვეტ საკანონმდებლო დაწესებულების ხასიათი ექნებოდა, ნამდვილად-კი ძირითადი კანონები ავტოკრატიულ წესწყობილებისა უცვლელად დარჩა.

პირველს წერილებს ახალი კანონის შესახებ მოსკოვის გაზეთებში ვკითხულობთ. ჯერ-ჯერობით გაზეთები მოკლედ აღნიშვნენ თავის შეხედულებას და გვპირდებიან უფრო დაწვრილებით შემდეგ მოგველაპარაკონ. საზოგადოდ გაზეთები თავდაჭერილისა და დინჯის კილოთი ეგებებიან ახალს დაწესებულებას; აღფრთოვანება და სიხარული, რომელიც უთუოდ მოჰყვებოდა ახალის კანონის გამოცხადებას, რომ იგი ისეთი ყოფილიყო, როგორსაც მოელოდნენ, ახლა სრულიად არ ეტყვის მოსკოვის გაზეთებს, თუმცა ისინი ძალიან ცდილობენ მიუდგომელად და ლმობიერად მოეპყრან ახალს დაწესებულებას. ამ პირველს წერილებში, უნდა აღვიაროთ, „ლმობიერება“ შორსაც-კი მიდის, მაგრამ ეხლავე ეტყობა, რომ მეორე წერილებს უფრო მეტი ოპპოზიციური ხასიათი დაეჩნევა...

ლიბერალიზმის მუყაითი და დარბაისელი დამცველი გაზეთი „რუსსკ. ვედ.“ ასე გვისურათებს თავის შეხედულებას:

„ახლად გამოცემული კანონი უტყუარი ნიშანია იმისა, რომ ჩვენს ისტორიაში ახალი ხანა იწყება. რუსეთის მოქალაქეთა უფლება კანონმდებლობაში მონაწილეობის მიღებისა, რასაც დღემდის მედგრად ეწინააღმდეგებოდა ბიუროკრატია, უმაღლესად იქმნა აღიარებული და უზრუნველია კანონით. ამ ამბის მნიშვნელობა მეტად დიდია: თუმცა სახელმწიფო საქმეების მართვაში მონაწილეობის მიღების ნება მცხოვრებთა მეტად მცირე ნაწილს მიენიჭა, მიუხედავად ამისა ახალის კანონით მთელს ჩვენს ქვეყანას ეხსნება სახელმწიფო ინტერესების სფერო, რომელიც დღემდის დახშული იყო მისთვის. 6 აგვისტოს გამოქვეყნებული აქტი აკანონებს და მით აფართოვებს ქვეყნის პოლიტიკურ ცხოვრებას. ამიტომ მას აუცილებლად უნდა მოჰყვეს ისეთ პირობათა განხორციელება, ურომლებოდ პოლიტიკური ცხოვრება შეუძლებელია. ხალხს ამიერიდან აღარ შეუძლია მოკლებული იყოს უფლებას სახელმწიფო საქმეთა თავისუფლად გათვალისწინებისას; ხალხი ეხლავ უნდა შეუდგეს არჩევნების მზადებას, რადგან სახელმწიფო სათათბირო იანვარში მოწვეულიც იქნება უკვე. ყველა ეს სრულიად აუსრულებელია დღევანდელს პირობებში, როცა პრესსას ნება არა აქვს შეეხოს ქვეყნის უმთავრეს საქმეებს, როცა წესრიგის გაძლიერებული დაცვა მოქალაქეთ ელემენტალურს მოქალაქობრივს უფლებასაც-კი ართმევს, როცა აკრძალულია ისეთი ყრილობაც, რომელიც არაფრით არ არღვევს საზოგადოებრივ წესრიგსა და მშვიდობიანობას... ეხლა უფრო საჭიროა, ვიდრე სხვის ოდესმე, დაუყონებლივ გამოცხადდეს ელემენტალური მოქალაქობრივი უფლებანი: მოისპოს განსაკუთრებული კანონი, შემოღებულ იქმნას ყრილობისა, სიტყვისა და პრესსის თავისუფლება. ეს უფლებანი ლოღიკურად მომდინარეობენ ახლად გამოცხადებულ კანონიდან. სახელმწიფო სათათბიროს დებულება ბევრში არ აკმაყოფილებს რუსეთის საზოგადოების პროგრესიულ ნაწილს; მაგრამ 6 აგვისტოს კანონს უნდა შევხედოთ როგორც პირველ ნაბიჯს ნამდვილ სახალხო წარმომადგენლობის დამყარების საქმეში; ეს თვით უმაღლეს მანიფესტშია აღიარებული, რადგან იქ ნათქვამია, რომ შემდეგში ეს კანონი უნდა შესწორდეს ცხოვრების მოთხოვნის თანახმადაო. ამ კანონის შესწორება-შევსება შეადგენს ახლო მომავალის უდიდეს საგანს“...

როგორც ჰხედავთ, „რუსსკ. ვედომ.“ მხოლოდ პრინციპიალურად იწონებს ახალს კანონს: ამათ მხოლოდ აწუხებს სახალხო წარმომადგენლობის დამყარების საქმე და რაც შეიძლება მალე უნდა შესწორდეს-შეივსოს ახალი პროექტიო; მისი პრაქტიკული მნიშვნელობა მეტად მცირე იქნება, თუ დაუყოვნებლივ არ იქმნა მაინც გამოცხადებული „ელემენტალური პოლიტიკური უფლებანი“ ყრილობისა, სიტყვისა და პრესსის თავისუფლების შესახებაო...

თითქმის ასეთივე აზრი აქვს გამოთქმული „რუსსკ. სლოვო“-ს. ისიც ამბობს, რომ რუსეთმა მხოლოდ პირველი ნაბიჯი გადადგა და მეტად მძიმედაც გადადგაო. „პირველის ნაბიჯის გადადგმა საზოგადოდ ძნელია; მაგრამ იმის გადადგმისთანავე გრძნობ, რომ მეორე ნაბიჯიც საჭიროა. რუსეთი ბავშვი აღარ არის. იგი დიდი ხანია მზად არის ისე იაროს როგორც მოწიფული ვაჟკაცი დადის. სწორედ იმიტომ დაგვატყდა თავს ამდენი გარეშე და შინაური უბედურება, რომ ძალით ვყავდით ბავშვის მდგომარეობაში. 6 აგვისტო ახალს გზას გვიჩვენებს და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ რუსეთი მარჯვედ გადადგამს ახალ ნაბიჯებს და თავიდან აიცილებს მძიმე ოპერაციას“...

გაზეთი „ნოვოსტი დნია“-ც პირველ ნაბიჯად სთვლის 6 აგვისტოს კანონს. „დაიწყო ხალხის უფლებათა გადაცემა ხალხისათვის. ჯერ მხოლოდ პირველი ნაბიჯია გადადგმული, მაგრამ მას უეჭველად მოჰყვება მალე მეორე, მესამე და შემდეგი ნაბიჯები; უკვე მოახლოებულიც არის ის დრო, როცა რუსის ხალხი წინ წამოდგება, როგორც ძლევამოსილი კანონმდებელი ყველა უფლებებით შემოსილი. 6 აგვისტოს მანიფესტი მხოლოდ დასაწყისია რუსეთის ცხოვრების ახალის ხანისა და ჩვენ მტკიცედ გვწამს, რომ მალე ეს ხანაც დადგება სავსებით“.

ამრიგად, მოსკოვის ლიბერალური პრესსა, თუმცა არ უარჰყოფს ახალის კანონის დიდ ნაკლულევანებათ, მაგრამ მაინც დიდ მნიშვნელობას აკუთვნის მას და იმედებით არის აღსავსე. გაზეთები აღნიშნავენ, რომ ბულიგინის მიერ შემუშავებული პროექტი მოწინავე ელემენტებს ვერ დააკმაყოფილებს, მიუხედავად ამისა რბილად ეკიდებიან მას და, ჩვენის აზრით, აჭარბებენ იმის პრინციპიალურს მნიშვნელობას. ამ მხრით უფრო პირდაპირი და საინტერესო აზრი „მოსკოვ. ვედომ.“-მა გამოსთქვეს. რეაქციონური გაზეთი სწუხს, რომ რუსეთმა 6 აგვისტოს კანონით გადაუხვია ათას წლობით გამოცდილს გზას და უცნობ მომავალის სიბნელეში შესტოპა“-ო, მაგრამ თავს ინუგეშებს და თავის მომხრეებსაც ასე ანუგეშებს:

„უპირველესად ყოვლისა ღმერთს მადლობა შევსწიროთ: თუმცა ჩვენს წეს-წყობილებაში თვალ-საჩინო ცვლილება მოხდა, იმპერიის ძირითადი კანონები, რომელნიც იცავენ თვითმპყრობელობას, უვნებლად და შეურყევლად რჩებიან მაინც! ჩვენი „შინაური მტრები“ სწორედ ამ ძირითად კანონებს დაეძგერებიან ახლა და ამიტომ ამიერიდან უფრო მეტი მხნეობა გვმართებს, დავიცვათ ჩვენი თვით-მპყრობელობითი წესწყობილება“... უფრო სანუგეშოდ გაზეთს ის მიაჩნია, რომ სახელმწიფო სათათბიროს კანონმდებლობითი მნიშვნელობა ერთობ მცირეა. თუნდ დეპუტატების $^2/_3$-მა დაიწუნოს კანონი, იმპერატორს იმის დამტკიცების ნება ექნებაო, ასე რომ „რუსეთის მეფის საკანონმდებლო უფლება წმინდათ დარჩა შეურყეველი“-ო. ბოლოს და ბოლოს რეაქციონური გაზეთი მაინც ვერ არის კარგს გუნებაზე: ჯერ-ჯერობით რუსეთის შინაურმა და გარეშე მტრებმა გაიმარჯვეს, რუსეთს თავისი ისტორიული გზა დაატოვებინესო, მაგრამ რა ვქნათ: უნდა თავი მოვიხაროთ თვით-მპყრობელი ხელმწიფის ნების წინაშეო...

დღეს ასე [illegible] თავს გრინგმუტის გაზეთი—ქედი უნდა მოვიდრიკოთ ახალ კანონის წინაშეო,—მაგრამ ხვალვე შესცვლის ტაქტიკას: ჩვეულებრივ ომს გამოუცხადებს „ახალს“, მედგრად მოიწვევს „ძველს“, რათა შეებრძოლოს „უცნობ და ბნელ მომავალს“... და ჩვენც დარწმუნებულნი ვართ, რომ ამიერიდან კიდევ უფრო გამწვავდება ბრძოლა „ძველისა და ახლის“ შუა, დარწმუნებულნი ვართ იმაშიაც, რომ „ახალი“ უთუოდ გაიმარჯვებს; მაგრამ „რუსსკ. ვედომ.“-ის ოპტიმიზმიც არ გვწამს, ვითომ ყველაფერი ადვილად და ძალა-დაუტანებლად გადაწყდება ახლო მომავალში...

ვნახოთ ეხლა, რას ამბობენ პეტერბურგის გაზეთები.

გ.

ახალი ამბავი

◆ 20 აგვისტოს პეტერბურგში **შეიკრიბებიან მთელ რუსეთის უმაღლეს ადმინისტრაციის წარმომადგენელნი.** სხვათა შორის, როგორც სატახტო ქალაქების გაზეთები გადმოგვცემენ, ამ დღისთვის პეტერბურგს ჩავა კავკასიის ნამესტნიკი გრაფი ვორონცოვ-დაშკოვიც.

◆ 11 აგვისტოს ტფილისის გუბერნატორმა უბრძანა მაზრის უფროსებს, დაუყოვნებლივ გამართონ **სასოფლო საზოგადოებათა კრებები** წარმომადგენელთა ამოსარჩევად სამაზრო საბჭოებში, რომელთაც უნდა შეიმუშაონ პროექტი საერობო დაწესებულებათა წესდებისა. გუბერნატორი ამასთან სწერს, რომ გლეხთა წარმომადგენლების არჩევანი რაც შეიძლება მალე უნდა მოხდეს, რადგან საბჭოების სხდომები 1 სექტემბრიდან უკვე დაიწყებაო.

◆ დღეს, 13 აგვისტოს, ტფილისის მაზრის უფროსს დაბარებული ჰყავს მაზრის ბოქაულები, რომელთაც დაევალებათ ეხლავე გამართონ **გლეხთა კრებები** წარმომადგენლების ამოსარჩევად.

◆ ტფილისის გუბერნატორმა გუშინწინ მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლებს დაუგზავნა ინსტრუქციები და სთხოვა, დაიჩქარონ არჩევა **თავად-აზნაურთა წარმომადგენლებისა სამაზრო საბჭოებში.** ტფილისის მაზრის თავად-აზნაურთა წინამძღოლმა უკვე სთხოვა ქალაქის მოურავს დაუთმოს საბჭოს დარბაზი წარმომადგენელთა ამოსარჩევად.

◆ როგორც ვიცით, **სომხებმა ყველგან აუარებელი სამადლობელი** პარაკლისი გადაიხადეს და დეპეშები გაუგზავნეს საეკლესიო მამულების დაბრუნების გამო. ეხლა სომხობას განუზრახავს განსაკუთრებული დეპუტაცია გაუგზავნოს კავკასიის ნამესტნიკს გრაფ ვორონცოვ-დაშკოვს და ერთხელ კიდევ გადაუხადოს მადლობა. ამ დეპუტაციაში თითო ქალაქიდან სამ-სამი კაცი იქნება.

◆ 11 აგვისტოს, საღამოთი, ამიერ-კავკასიის რკინის გზის ტფილისის **სადგურზე მოჰკლეს სადგურის უფროსი ლ. ი. ტერპილოვსკი.** აღნიშნულ დღეს, საღამოს 9 საათს 18 წამზე, ტფილისიდან ბაქოში უნდა გასულიყო სახალხო მატარებელი № 4. ტერპილოვსკი ორს სამხედრო კაცის შუა მდგარა პირველ კლასის ბუფეტის გვერდზე ღია ფანჯარასთან და რაღაზედაც მუსაიფობდა. მესამე ზარი ჩამოჰკრეს და ის იყო მატარებელი უნდა დაძრულიყო, რომ თოფი გავარდა და ტყვია ტერპილოვსკის მოხვდა მარცხენა წარბს ზემოდ. ტერპიულოვსკიმ ერთის სიტყვის თქმაც ვერ მოასწრო, ისე დაეცა. ნიშანი მისცეს დაძრულ მატარებელს და გააჩერეს. ჟანდარმები ვაგონებში შეუდგნენ მკვლელის მოძებნას, რადგან ეგონათ, რომ მკვლელი მატარებელში იყო დამალული. გამოძიებამ აღმოაჩინა, რომ მკვლელი მესამე ლიანდაგზე მდგარა და იქიდან ვაგონსა და ვაგონს შუა ფარნის შუქზე ნიშანში ამოუღია ტერპილოვსკი. მკვლელს უსარგებლნია არეულობით და მიმალულა. მალე გაჩნდნენ ჟანდარმთა უფროსი სოლოვიოვი, პოლიცმეისტერი და სხვანი და შეუდგნენ გამოძიებას.

◆ „კავ.“ 11 აგვისტოს, ღამის 10 საათზედ, პოლიციის 1 ნაწილში **მოჰკლეს პოლიციელი ივანე ნიკულინი.** პოლიციელს ნიკულინს ებარა საუფლისწულო მამულის მარნის გარშემო ადგილები. თავის ადგილზე ნიკულინს სალდათები დაუყენებია და თვითონ-კი წასულა ყაზბეგისა და სხვა ქუჩების დასათვალიერებლად. კობინსკის ქუჩაზედ რომ გასულა, ქოხმახებთან შეუნიშნავს მწვანე ხალათებში გამოწყობილი ყმაწვილ კაცთა ჯგუფი, რომელნიც აქ თურმე სალამობით იკრიბებოდნენ და თათბირობდნენ. პოლიციელი მისულა მათთან და უთქვამს, დაიშალენითო. პასუხად ვიღაცას რევოლვერი დაუხლია და მოუკლავს. მკვლელი უკვალოდ მიიმალა.

◆ როგორც ვიცით, ამას წინად **ნამესტნიკს წარუდგა ქიზიყელთა დეპუტაცია.** დეპუტაციას, სხვათა შორის, უთხოვნია ამ წლიდან სახელმწიფო გადასახადები ადგილების რაოდენობის დაგვარად განაწილდეს. უთხოვნია აგრეთვე ნება მიეცეთ ქიზიყელებს იარაღი ატარონ საძოვარ ადგილებში საქონლის დასაცავად ზაქათალის ოლქის და განჯის გუბერნიის თათრებისგან. რომელნიც ძალიან ხშირად თავს ესხმიან მწყემსებს და ასობით საქონელს იტაცებენ. პირველ თხოვნის დასაკმაყოფილებლად ნამესტნიკს კომისია დაუნიშნავს ადგილობრივ მიწების მფლობელობის გამოსაკვლევად; მეორე თხოვნა მაშინვე დაუკმაყოფილებია და უბრძანებია, იარაღი სახელმწიფო საწყობებიდან მიეცეთ აღნიშნულ მცხოვრებთ მათისავე პასუხის მგებლობით აგრეთვე საჭირო თოფის წამალიო.

◆ 6 აგვისტოს სოფელ ხოვლის **მემამულენი შეთანხმებულან** ამ წლიდან მოსავლის მეოთხედზედ. ტყე, ქვა, ქვიშა და საძოვარი საშინაოდ უსასყიდლოდ. პირობის ქაღალდზე მემამულეთაგან ხელი უწერია: კნ. მარიამ ჯავახიშვილისას, თავ. ა. ჯავახიშვილს, თავ. გ. ი. ჯავახიშვილს, თავ. პლატონ ჯავახიშვილს, კნ. ჯავახიშვილისას, ი. პ. ნინიაშვილს, ე. ნინიაშვილს, თავ. ნ. ჯავახიშვილს, თავ. ს. ჯავახიშვილს, თავ. ა. ი. ჯავახიშვილს და თავ. მიხეილ ვეზირიშვილს. შეთანხმების შემდეგ მემამულეებმა სთხოვეს გლეხებს, წრეულობით თქვენც დაგვითმეთ და მეოთხედები ყანიდან მოგვიტანეთო. სოფელიც დაჰპირებია ასრულებას შეიბა ურმები და ძნის ზიდვა დაიწყო.

ფელეტონი

სიკვდილით სასჯელი*)

II

ძველის დროის სახელმწიფოებში სიკვდილით დასჯა ყოველთვის როდი ითვლებოდა სასტიკ სასჯელად. ამას ხშირად მიჰმართავდნენ, როგორც საშუალებას ერთბაშად მრავალ საშიშ ხალხის გასაჟლეტად, მაგალითად, დამარცხებულთა, განდევნილ მონათა, მაწანწალათა და გარყვნილთ ამოსაჟლეტად. ეგვიპტეში ისეთი კანონი იყო, რომ ვინც თავის ცხოვრების სახსარს არ დაასახელებდა, უთუოდ სიკვდილით დასჯიდნენ. ევროპაში სიკვდილით დასჯამ იურიდიული მნიშვნელობა მიიღო, მაგრამ [illegible] სასტიკ ზომამდე მიაღწია: კარლოს დიდმა სიკვდილით დასჯა გადაუწყვიტა 4,500 საქსონელს და დასაჯა კიდეც ამბოხებისათვის. 1568 წელს ისპანიის ინკვიზიციამ ნიდერლანდიის ყველა მცხოვრებლებს სიკვდილი მიუსაჯა, ფილიპე მეფემ დაამტკიცა ეს სასჯელი და ბრძანა, რომ ფიცხლად მოეყვანათ სისრულეში. ამ ბრძანებისამებრ სიკვდილით დასაჯეს 50,000 სულზე მეტი განურჩევლად სქესისა და ხნოვანებისა. საფრანგეთის სარევოლიუციო ტრიბუნალებმა ოთხის წლის განმავლობაში 19,000 კაცი დასაჯეს სიკვდილით, ისპანიის ინკვიზიციამ 50,000-მდე ერეტიკი ცეცხლში დასწვა. ინგლისში ისე ხშირი იყო სიკვდილით დასჯა, რომ ამ მხარეს სიკვდილით სასჯელის ქვეყანა ეწოდეს, ხოლო ლონდონი „სახრჩობელას ქალაქად“ იწოდებოდა. ძნელია მომქმედ კოდექსებში ისეთი დანაშაულობა იპოვნოთ, რომელსაც უწინდელ დროში ამა თუ იმ ხალხში სიკვდილით დასჯა არ მოჰყვებოდა. სიკვდილით სჯიდნენ იმასაც-კი, ვინც უბრალო საპოლიციო წესს დაარღვევდა. მაგალითად, მეფისათვის რომ ერთხელვე დაწესებულის ფორმით არ მიეკრთმიათ რამე თხოვნა, მუხა მოეჭრა, ნებადაურთველად განედირნა, ნებადაურთველად წიგნები დაებეჭდა, იარაღი ეტარებინა, ან უკანონო კრებებს დასწრებოდა და სხვა ამგვარი, ყველა ამისთვის სიკვდილით სასჯელი მოელოდა. ინგლისის კანონებში XVIII საუკუნის გასულს, ბლეკსტონის ანგარიშით, ნამდვილად 160, ხოლო სხვა იურისტთა გამოანგარიშებით—240 დანაშაული, რომლისთვისაც სიკვდილი უნდა მისჯოდა დამნაშავეს. საფრანგეთის კანონი ამავე დროისა 119 დანაშაულს სჯიდა სიკვდილით.

სიკვდილით დასჯის საწინააღმდეგო რეაქცია კანონმდებლობაში ჯერ ისევ მე-XVIII საუკუნის ნახევარსვე დაიწყო, და ამაზე გავლენა იქონია ევროპიელთა აზრის დიდმა ცვლილებამ. უწინარეს ყოვლისა რეაქცია გამოიხატა სასამართლოს მოქმედებაში. სასამართლო უფრო და უფრო ამსუბუქებდა სასჯელს. უფრო გულ მოწყალე მეფეები-კი სარგებლობდნენ თავიანთის უფლებებითა და აპატიებდნენ ხოლმე სასჯელს. ტოსკანის მეფე ლეოპოლდმა, ტახტზე ასვლისთანავე საიდუმლოდ ბრძანა, რომ სიკვდილით დასჯისათვის აღარ მიემართნათ, ხოლო 1786 წელს საქვეყნოდ აკრძალა და გააუქმა ესა. ტოსკანის ხალხის ზიზღი სიკვდილით სასჯელისადმი მას შემდეგ ისე გაძლიერდა, რომ იტალიის მთავრობამ 1861 წელს ტოსკანას განსაკუთრებულ უპირატესობის ნიშნად უცვლელად დაუტოვა უფლება სიცოცხლის ხელშეუხებლობისა. ლეოპოლდის მაგალითს მიჰბაძა იმისმა ძმამ, ავსტრიის იმპერატორმა იოსიფ მე-II-მ და 1788 წელს გამოსცა თავისი შესანიშნავი კოდექსი, რომელშიაც სიკვდილით სასჯელს ადგილი არა აქვს. ეს კანონი გულმოწყალე იოსიფ მეორეს სიკვდილის შემდეგ დიდხანს არ ყოფილა ხმარებაში, მალე გააუქმეს. საფრანგეთში 1810 წლის კოდექსმა სიკვდილით სასჯელი 38 დანაშაულობისათვის დასტოვა. ამ ჩვენს დროში, საფრანგეთის კანონით, სიკვდილით დაისჯებიან კაცის მკვლელნი, სადგომ შენობათა დამწველნი და ზოგიერთი სახელმწიფო დამნაშავენი, რომლის მოქმედება მკვლელობასთან არის დაკავშირებული. სიკვდილით დასჯა გერმანიის საზოგადო კოდექსში დატოვებულია მეფის მკვლელთა და წინასწარ განზრახვით მკვლელთათვის. 1840 წ. ინგლისის პარლამენტმა არ მიიღო ბილლი სიკვდილით დასჯის გაუქმების შესახებ, მაგრამ 1861 წელს ეს სასჯელი დასტოვა მხოლოდ ზოგიერთ მძიმე სახელმწიფო დანაშაულობისა და წინასწარ განზრახვით, ან, საზოგადოდ, განზრახ მკვლელობისათვის.

1874 წლის შვეიცარიის კონსტიტუციამ სიკვდილით დასჯა გააუქმა, მაგრამ 1879 წელს ხმის მცირე უმეტესობით მიღებულ იქმნა კანონი, რომელიც ამბობდა, რომ სიკვდილით სასჯელი მხოლოდ პოლიტიკურ დანაშაულობათათვისაა გაუქმებულიო. შვიდმა კანტონმა მაინც წინააღმდეგობა განაცხადა სიკვდილით სასჯელზე და თავის ქვეყანაში აღარ გაუშვა იგი.

რუსეთში სიკვდილით სასჯელი ისევე ხშირი იყო, როგორც დასავლეთ სახელმწიფოებში. იოანნე მრისხანემ (ივან გროზნი) 60,000 ნოვგოროდელი ჩამოახრჩო; პეტრე I-მა კი ერთ თვეში 1.166 სული სიკვდილით დასაჯა. 1649 წლის კრების დებულებაში სიკვდილით სასჯელი მოხსენებულია 54 დანაშაულისათვის; სამხედრო წესდებაში 1716 წლისა—100 შემთხვევა სიკვდილით დასჯის ღირსად ნაცნობი. წინააღმდეგ ინგლისისა, რუსეთმა XVIII წლიდან სახელი გაითქვა როგორც ისეთმა ქვეყანამ, სადაც სიკვდილით დასჯა არ იყო. ეს ნაკლები de facto სრულიად უსაფუძვლოა. 1744 წელს იმპერატრიცა ელიზავეტა პეტროვნამ, თანახმად „ტახტზე ასვლის დროს დადებულ აღთქმისა,—არავინ არ დაესაჯათ სიკვდილით,—ბრძანება გასცა, რომ ყველა განაჩენი სიკვდილით სასჯელისა იმისთვის წარედგინათ დასამტკიცებლად. განაჩენებს იმპერატრიცა სრულიად ურეზოლიუციოდ სტოვებდა. რაკი საპატიმროები ტუსაღებით აივსო და გამორკვეული არ იყო გასამართლებულთა მდგომარეობა, ამიტომ სენატმა წინადადება შეიტანა, რომ სიკვდილით დასასჯელნი ჯერ გაემათრახებინათ, ნესტოები ამოეგლიჯათ იმათთვის და მერე კატორღაში გაეგზავნათ. ეს წინადადება დაამტკიცა იმპერატრიცამ და საზოგადოდ კანონად გარდიქმნა, მაგრამ ისე განმარტეს, რომ ეს კანონი პოლიტიკურ დამნაშავეთ არ ეხებაო.

პოლიტიკურ დამნაშავეთა სიკვდილით დასჯა შემდეგ ხდებოდა: 1766 წელს სიკვდილით დასაჯეს პორუჩიკი მიროვიჩი, რომელსაც იოანნეს განთავისუფლება უნდოდა, 1771 წ. დასაჯეს მთავარ-ეპისკოპოს ამბროსის მკვლელი, 1777 წელს პუგაჩოვი და იმის თანამონაწილეები და 1825 წელს 5 დეკაბრისტი. 1832 წლის კანონთა კრებულში სიკვდილით სასჯელი დანიშნული იყო მძიმე სახელმწიფო დანაშაულობისათვის—და მხოლოდ იმ შემთხვევაში, თუ დამნაშავენი უმაღლეს სისხლის სასამართლოში იქნებოდნენ მიცემულნი. 1845 წლის დებულებაში, რომელიც მრავალის ცვლილებებით აქამომდე ხმარებაში სიკვდილით სასჯელი უმძიმეს სახელმწიფო დანაშაულობისთვის არის დანიშნული. კანონ-დებულების შემდგენელთ უნდოდათ სიკვდილით დასჯილიყო მამის მკვლელიც.

პირველის შეხედვით კაცს ეგონება, რომ ძველებურ რუსულ უფლებით სიკვდილით დასჯა განსაკუთრებული სასჯელი იყო. მაგრამ რუსეთის ძველ დროთა გამომკვლევნი ამტკიცებენ, რომ de facto ბევრ დამნაშავეს ხვდებოდა სასტიკი სიკვდილი. 1845 წლამდე ნორმალურ სასჯელად იყო მათრახი. ამ იარაღის რამდენჯერმე დარტყმევით შეიძლებოდა სიცოცხლეს გამოსალმებოდა კაცი. თ-დ შჩერბატოვის მოწმობით, დამნაშავეს 400 მათრახი უნდა მოხვედროდა და უმეტესობა ამ შემთხვევაში კვდებოდა იქვე, ცემის დროს, ანა-და საავადმყოფოში. 1812 წლამდე ნებადართული იყო, რომ განაჩენში არ მოეხსენებიათ რამდენჯერ უნდა დაეკრათ მათრახი და ასეთ განაჩენს როცა თან დამატებად ახლდა, რომ „უზოგველად გაილახოს“-ო, ჩვეულებრივად, ისე გულისხმობდნენ საქმის აღმსრულებელნი, რომ ნაბრძანებია სული ამოჰხადოთ ცემითაო. თ-დი შჩერბატოვი ცდილობდა გაუქმებინათ მათრახი და სამაგიეროდ უბრალო სიკვდილით დასჯა უფილიყო,

---

იხ. „ცნ. ფურც.“, № 2883.

◆ დღეს, 13 აგვისტოს, იმიერ-კავკასიის რკინის გზის სასადილოში დანიშნულია **კრება რკინის გზის** ყველა ნაწილის მოსამსახურეთა მიერ არჩეულ დელეგატებისა. დელეგატებმა უნდა განიხილონ საპენსიო კასის წესდება და აირჩიონ დეპუტატები პეტერბურგში გასაგზავნად.

◆ კავკასიის ნამესტნიკს, როგორც „ივ.“ გადმოგვცემს, ნება დაურთავს თიანეთის მაზრაში **დაურიგონ თუშებს თავის დასაცველად** 120 ბერდანის თოფი და 5000 პატრონი.

◆ 20 აგვისტოსათვის დანიშნულია ტფილისში **კრება კავკასიის სახაზინო პალატის გამგეობისა.** კრებამ უნდა მოილაპარაკოს სადგილ-მამულო და საიჯარო გადასახადებზე.

◆ **ტფილისში ჩამოსულა გურია-სამეგრელოს სამღვდელოების დეპუტაცია,** რომელმაც ექსარხოსს უნდა წარუდგინოს მოხსენება ადგილობრივ სამღვდელოების საჭიროებათა შესახებ.

◆ დუშეთის მაზრის **ოქროყანის და კობის სოფლის მცხოვრებთ** შუამდგომლობა აღუძრავთ, რომ მათი საძოვარი ადგილები, შედგენილ პლანის დაგვარად, განისაზღვროს და ყველა სოფელს თავისი წილი მიეზომოს. ძალიან ხშირად ამ საძოვრების გამო უთანხმოება თურმე გლეხებს შორის.

◆ ბორჩალოს მაზრის **ექვს სოფლის მაჰმადიანებს** შუამდგომლობა აღუძრავთ, რომ მათ თავიანთ საჭიროების დასაკმაყოფილებლად სამაზრო ტყეებიდან უფასოდ სიეცეთ საჭირო ხე-ტყე და შეშა.

◆ 19 ივლისს **სეტყვას დიდი ზარალი მიუყენებია** ბორჩალოს მაზრის სოფლებს ჯანდარისა და კამიშლოსთვის. ეხლა გლეხები შუამდგომლობენ, რომ სასოფლო სამეურნეო თანხიდან, რომელიც იმათ შორისვე მოგროვილ ფულით არსებობს, სესხი მიეცეთ და შემწეობა აღმოეჩინოთ.

◆ **სიღნაღის მაზრის მესამე განყოფილების** მომრიგებელი შუამავალი შახმალიევი დროებით დუშეთის მაზრაში პირველ განყოფილებაში გაიგზავნა იმავე თანამდებობის ასასრულებლად.

◆ იმიერ-კავკასიის რკინის გზას, როგორც ამავე გზის გამგეობის ანგარიშებიდან სჩანს, **გაფიცვებისაგან წლეულს 3½ მილიონ მანეთის ზარალი მოსვლია.**

◆ ბორჩალოს მაზრის სოფელ მუღანლოს გლეხებმა ამას წინად სთხოვეს საგუბერნიო მთავრობას, რომ **თავისუფალი სახელმწიფო ადგილები და ტყე მისცემოდათ** და უკან დაებრუნებინათ საზამთრო და საზაფხულო საძოვრები. ეს შუამდგომლობა საგუბერნიო მთავრობამ სახელმწიფო მამულების გამგეს გადასცა, მაგრამ მან უყურადღებოდ დასტოვა გლეხთა თხოვნა.

◆ **შეტაკება სომხებსა და თათრებს შორის,** რუსულ გაზეთების სიტყვით, კიდევ მომხდარა. ახლა ელეტა-ხოლცვას განჯის გუბერნიაში შესდგომიან. 8—10 ივლისს მოუკლავთ ცხრა კაცი.

◆ **ბაქოს გუბერნატორად,** გაზეთების სიტყვით, ინიშნება შიდლოვსკი, რომელიც ბაქოს რევიზიის დროს სენატორს კუზმინსკის ახლდა.

◆ შუშაში, „ტ. ლ.“-ს სიტყვით, **სასიკვდილოთ დაუჭრიათ** მომრიგებელ-მოსამართლედ ნამყოფი ლუნიაკინი.

◆ ბათუმის ქალაქის გამგეობას შუამდგომლობა აღუძრავს **ქალაქ ბათუმში მეეზოვეთა შტატის გაუქმების** შესახებ.

◆ ტფილისის მაზრის, სოფელ კუმისის გლეხებს შეუწირავთ გლეხთა დასამშვიდებლად გაგზავნილ გენერალ თავ. ჭავჭავაძისთვის, რომ თავად ორბელიანის და მუხრან-ბატონის მოიჯარადრენი ჩვენ შინაურ საქონელს არ უშვებენ საძოვარ ადგილებში, თუმცა „უსტავნოი გრამოტის“ ძალით სრული ნება გვაქვს ვისარგებლოთ ამ საძოვრით. თავადი ჭავჭავაძე შეჰპირებია გლეხებს შემწეობას.

◆ ტფილისის პოლიცმეისტერმა უბრძანა ბოქაულებს, თვალ-ყური ადევნონ მეეტლეთა წესიერ მიმოსვლას, რომ იგინი ბირჟაზე დროით გამოდიოდნენ, ღამე ფარნები უსათუოდ ენთოთ უნომროდ არ იმუშაონ და სხვ. თუ ვინმე სავალდებულო დადგენილებას დაარღვევს ვაჭრობის უფლებას დაჰკარგავსო. ბოქაულებმა ამასთან ყოველდღე დახმარება უნდა აღმოუჩინონ სავაჭრო სამეურნეო აგენტებს გადასახადების მოკრეფის დროს.

◆ აგერ აგვისტო გადის და ტფილისისა ქალაქის გამგეობას ქალაქის დუქნების მოქმედების ანგარიში მარტს აქეთ არ მიუღია. არ არის მიღებული აპრილისა, მაისისა, ივნისისა და ივლისის ანგარიში. ქალაქის დუქნებზე იმდენი ფული დაიხარჯა და სარევიზიო კომისია კი დუქნებს რევიზიას არ უშვება.

◆ პოლიციელს ბარინკინს, მთვრალს, ქუჩაში დაუჭრია და პოლიციაში წაუყვანია ტფილისის მოქალაქე ხაჩინიანცი. პოლიციელს გზაზედ ხაჩინიანცისათვის გაურტყამს. პოლიცმეისტერმა ამ მოქმედებისათვის პოლიციელი 5 დღით დასაჯა და ამასთანავე უბრძანა პოლიციელებს, თუ ვინმე ამ გვარს საქციელს ჩაიდენს, სამსახურიდან იქნება დათხოვნილიო.

◆ როცა ბეითლები ქალაქის საყასბოში საქონელს რაიმე სენს შეამჩნევენ, ხორცს სპობენ. ამ ერთი წლის წინად საყასბოში გააკეთეს ქონილის სადნობი. მოსასპობ ხორცს ქონს აცლიან, ადნობენ და შემდეგ სანთლის ქარხნებში ასაღებენ. წასულ თვის განმავლობაში 5 ფუთი ქონი გაუყიდნია საყასბოს გამგეს და როცა ფული ქალაქის გამგეობისათვის გამოუგზავნია, უცნობებია, ეს ფულიც იმას მიემატოს, რომელიც შარშან ამნაირადვე შემოვიდა და წარმოვადგინეთო. გამგეობამ შემოსავლის დავთრები გააჩხრეკინა და აღმოჩნდა, რომ ეს ფული ჯერ ქალაქის კასაში არ არის შეტანილი.

—

შეცდომის გასწორება. „ცნ. ფურ.“ მე-2869 ნომერში ბ-ნ ხახანაშვილის წერილში—„ბრიტანიის მუზეუმის ქართული ხელთნაწერება“ შეცდომით არის ნათქვამი, რომ კრებული წმ. მამათა ცხოვრებისა ნათარგმნია ათონის მთაზედ და გადაწერილი ზარზმის მონასტერში. ამ კრებულის დაახლოვებითი შესწავლამ დაგვარწმუნა, რომ კრებული დაწერილია იერუსალიმს წმ. საბას ლავრაში. ზარზმის მონასტერი ნახსენებია შემდეგ დროის მინაწერში. კრებულს ემატება ინტერესი, რაკი იგი აღმოჩნდა იერუსალიმში გადმოღებულად, შესაძლოა სირიული ენით, რასაც ამოწმებს თარგმანის ენის დაკვირვება.

—

დღევანდელ №-თან ურიგდება ხელის-მომწერთ **საერობო დებულება 1864 წლისა.**

დეპეშა

(საკუთარის კორესპონდენტისაგან)

პეტერბურგი, 12 აგვისტო. „ნოვ. ვრ.“ იტყობინება, რომ განსაკუთრებულ საბჭოს პირველი სხდომა 16 აგვისტოს მოხდება. განიხილავენ იმ წესების პროექტს, რომლით განხორციელებულ უნდა იქმნას 6 აგვისტოს კანონი. განხილულ იქნება აგრეთვე საკითხი განაპირა ქვეყნებში არჩევნების მოხდენის შესახებ.

„რუს“-ის სიტყვით, ბევრი განაჩენი სამხედრო სასამართოსი, რომელიც უკანასკნელ დროს დადგინდა გაძლიერებულ წესების თანახმად, სისრულეში არ მოჰყავთ. ამის მიზეზად იმას ასახელებენ, რომ მთავრობას განზრახვა აქვს ამნისტია გამოაცხადოს ზოგიერთ კათეგორიის პოლიტიკურ დამნაშავეთათვის.

„ნოვ. ვრ.“-ს კორესპონდენტი პორტსმუტიდან იტყობინება: სარწმუნო წყაროდან შევიტყე, რომ სრულიად სიმართლეს მოკლებულია ის ხმა, ვითომც რუსეთის რწმუნებულებმა თანხმობა გამოაცხადეს, რომ სამხედრო ხარჯი უზღოს იაპონიას რუსეთმა.

ფინანსთა მინისტრი იწვევს ამ დღეებში სხვა და სხვა უწყების წარმომადგენელთ, რათა იღონონ ღონე რკინის გზების მუშაობის გასაძლიერებლად. „რუს“-ი სწერს, რომ არ მართლდება ჯერჯერობით ის ამბავი, ვითომ ოდესაში აწესებენ გენ.-გუბერნატორის მუდმივ თანამდებობას.

„სლოვო“-ს გაუგონია, ვითომ სამსახურიდან ითხოვენ ნებოგოტოვის ესკადრის ყველა ოფიცერთ.

„ნაშა ჟიზნ“ იტყობინება, რომ მთავრობა შეუდგა იმ წესების შემუშავებას, რომლით უნდა მოხდეს ხოლმე მინისტრთა კაბინეტის შედგენა პირველ მინისტრის მეთაურობით.

ქიზიყელებისადმი

„ივერიის“ მე-123 ნომერში მოთავსებულია სიღნაღიდან კორესპონდენცია, რომელშიაც, სხვათა შორის, ნათქვამია: „ხალხიდან წარმოსდგა ერთი ორატორი და მოახსენა (გლეხთა დასამშვიდებლად გაგზავნილ თავ. ჭავჭავაძეს და გენ. სტახოვიჩს) შემდეგი: ჩვენს ქიზიყს, თავადო, მაჯლაჯუნასავით დასწოლია ერთი სენი და აღრჩობს მას. ეს გახლავთ ჩვენი საერთო, საზოგადო მფლობელობა მამულისა. ერთ დროს, ბატონო, ძალიან ძველსა და უწინდელს დროს, მთელს კაცობრიობას ჰქონდა ასეთი წესი მიწის მფლობელობისა, მაგრამ ჟამთა ვითარებამ ყველგან იგი წესი შეუცვლია კერძო საკუთრებაზე, საერთო მფლობელობაო!—ეს ეს არის ფიქცია. ჩვენში საერთო მფლობელობა-ვი არ არის, არამედ არის მფლობელობა და ბატონობა მდიდრებისა და დაჩაგრულობა ღარიბებისა. ან რა მიზეზია, რომ დღეს ყველას: თავადს, აზნაურს, მოქალაქეს, სამღვდელოებას, აქვს თავისი განსაზღვრული მამული, იცის თავისი მიჯნები, შეუძლიან ისარგებლოს თავის მამულით სურვილისამებრ, და მხოლოდ გლეხს არა აქვს ასეთი უფლება? იმისი მამული უთუოდ არეული საერთოში, უნდა დღე-მუდამ დავიდარაბასა და ჩხუბში იყოს მამულის საზღვრებისა და რაოდენობის გამო, არ შეეძლოს თავისი მამული არც გაჰყიდოს, არც დააგიროს. ამას დაუმატეთ „საგლეხო“ სასამართლო და სხვა „სამუჟიკო“ დაწესებულებანი, და თქვენ დაინახავთ, რომ დღეს გლეხი დაჩაგრულია, არ არის კაცთა შორის კაცად აღიარებული. ჩვენ ვთხოულობთ ჩვენის თავის ადამიანად აღიარებას“.

შემდეგ ბ-ნი კორესპონდენტი გადმოგვცემს მეორე ორატორის ნათქვამს. ამ ორატორზე სწერია, რომ იგი ანაგის მამასახლისი პეტრე დარჩიაშვილია, რომელსაც უთქვამს თავ. ზ. გ. ჭავჭავაძისათვის: „ჩვენის შეწუხებით, თავადო, ქვანიც-კი სტირიან. ჩვენი ცხოვრება არის ერთი დაუსრულებელი დავა და სისხლის ღვრა მამულისათვის. რათა და რისთვის? ჩვენ ისეთი, რა დაგვიშავებია, რომ ყველამ ჩვენ-ჩვენი ხვედრი მამული არ ვიცით. აგერ ამას წინად, მამულის დავაზე ორი კაცი წუაი-სოფელს გამოესალმა. ჩვენ ვიხდით ხარჯს ექვსი ათასის დესეტინისას და ოთხი ათასისაც არ გვიჭირავს. ნურას უკაცრავად, თავადო, და ჩემი საზოგადოება გადაჭრით აცხადებს, რომ ხარჯებს არ გაიწერს, ვიდრე კომლეურად ჩვენ-ჩვენს ხვედრს მამულს არ ჩაგვაბარებთ. დაგვირიგეთ კომლეურად მამული, რომ ყველამ თავისი იცოდეს, და ხარჯსაც ყველა დიდის სიამოვნებით გადაიხდისო“.

მთელ ქიზიყს, სადაც სოფლეურად მამულის მფლობელობაა, ორი კაცის პირით, რომელთაგან ერთი მამასახლისია და მეორეკი კაცმა არ იცის. ვინ არის ვინ არა მოუხსენებია თავ. ზ. გ. ჭავჭავაძისათვის, როგორც ზემორე ნათქვამიდან სჩანს, აღარ გვინდა სოფლეურად მამულის მფლობელობა, უნდა კერძო საკუთრებაზე შეიცვალოსო. ამასთან უთხოვნიათ, კომლეურად მოგვიზომეთ მამულიო.

ეჭვი მაქვს, რომ მართლა მთელი ქიზიყი ამ აზრისა იყოს; ეჭვი მაქვს, რომ ეს აზრი ადგილობრივ, თვით ქიზიყელების ყოფა-ცხოვრებისაგან იყოს დაბადებული. მართალია, მამულით ერთ ნაირად ვერა სარგებლობს ყველა, მართალია, ხარიანი უხაროზე მეტსა სარგებლობს, ხარიანებში ვისაც მოცადი საქონელი, ცხენის ჯოგი, ცხვრის და ღორის ფარა ჰყავს მეტსა სარგებლობს იმაზე, ვისაც მარტოოდენ მუშა საქონელი ჰყავს. სამაგიეროდ ეს უთანასწორობა სარგებლობაში სწორდება მამულის ხარჯის გაწერით: არიან ოჯახები, რომელნიც 400 მან. იხდიან და არიან ოჯახები, რომელნიც 3—10 მან. იხდიან. რასაკვირველია, შეიძლება ხარჯის გაწერაში ცოტად სასწორი სამართლიანობისა ნება-უნებურად გაბრუდებულიც იყოს ხოლმე, მაგრამ იმოდენადვე მართალია ისიც, რომ სიმართლის სავსებით დაცვა არც კომლეურად მამულის გაყოფაზე არის შესაძლებელი, რადგან გაწერა ხარჯისა სივრცის რაოდენობაზეა და არა მიწის ღირსებაზე დაფუძნებული.

სოფლეურად მიწის მფლობელობას სრულიადაც არა სდევს დავა იმავე სოფელში მცხოვრებლებს შორის. დავა აქვთ სოფლებს ერთმანეთში, რაც სასურველია, ერთხელ და სამუდამოდ გათავდეს თვითეულ სოფლის მამულის გამიჯვნით. დავა გაუთავებელი, დავა ქიზიყელების გამაღარიბებელი და ადვოკატების გამამდიდრებელი მაშინ დაიწყება, როცა სასოფლო მამული საკომლოდ გაიყოფა. ამისი დასამტკიცებელი საბუთი ბევრია სიღნაღის მომრიგებელ სასამართლოში იმ მამულების გამო, რომლებიც ქიზიყელებს გაყოფილი აქვთ კომლეურად. ამაზე მეტი საბუთი კიდევ მესაკუთრეთა ცხოვრებაშია თვით ქიზიყშიაც და ზემო კახეთშიაც.

ქიზიყის სოფლეურად მამულის მფლობელობას იმდენი ღირსება აქვს, იმდენად ღრმა კვალი აქვს დამჩნეული თვით ცხოვრებას ქიზიყელისას, რომ წარმოსადგენადაც-კი ძნელია, როგორ შეიძლება შეიფეროს და შეიტყოს თავისუფალმა, სიფართოვის მიჩვეულმა ქიზიყელმა ვიწრო გალიაში გამომწყვდევა! თქმა არ უნდა, ჩემი და არც სხვისი შეხედულება სასოფლოდ მამულის მფლობელობაზედ ქიზიყელებისათვის სავალდებულო არ არის. საქმე ის არის, დაბეჯითებით ვიცოდეთ, მართლა ესე ფიქრობს ქიზიყი, როგორც ორი, ვითომდა მისი წარმომადგენელი აცნობებს მთავრობას, თუ აქ არის რაიმე განსხვავება მთქმელისა და დანარჩენ ქიზიყელებს შორის.

მეგონა, ქიზიყიდამვე დაიბეჭდებოდა ამ მეტად დიდ საკითხის პასუხი ხსენებულ კორესპონდენციის და რაკი ეს ასე არ მოხდა, მივმართავ სოფლებში გაჩენილ ინტელიგენციას, შეკრიბოს ნამდვილი ცნობები: სურს ყველას, თუ რომელსამე ნაწილს სასოფლო მფლობელობის საკუთრებად გარდაქმნა? რით ასაბუთებს თავის სურვილს? რამდენად საბუთება უკავშირდება ადგილობრივ ცხოვრების პირობებს? დარწმუნებულია, რომ სასოფლო მამული სრულიად იქნება განაწილებული იმავ სოფლელებზედ, თუ შესაძლებელია, ნახევარი გაუნაწილონ და ნახევარი კიდევ სხვებისთვის შეინახონ, რადგან საშუალოდ გლეხთა კომლეურად მიწისა ითვლება 3—7 დესეტინამდის? იცის თუ არა ქიზიყელებმა, ვისაც კომლეურად 10—30 დესეტინამდის ეძლევა, ისინი სხვა პირობებშია და სხვა დამოკიდებულება აქვთ სახელმწიფოსთან? იცის თუ არა, რამდენად გაძნელდება მოცადი საქონლის, ცხენის ჯოგის, ცხვრისა და ღორის ფარის ყოლა, როცა კომლეურ საკუთრებად დაყოფილი იქნება მთელის სოფლის მამული? კომლეურ საკუთრებად თხოულობს დაყოფას თუ სახნავ მიწების გაყოფას თხოულობს ისე, რომ შემდეგ რამოდენიმე წლისა ისევ გადაყოფილი იყოს და სათიბ მამულსკი სტოვებს სათემოდ?

ზემო მაჩხაანელი.

პრესსა

მკითხველთ ემახსოვრებათ ბ-ნ ივ. რამიშვილის წერილი ნორვეგიაში მომხდარ ამბების შესახებ. სხვათა შორის ბ. რამიშვილმა აღნიშნა, რომ ნორვეგიის სოციალდემოკრატია სიხარულით ეგებება შვეციასთან უნიის შეწყვეტას და დამოუკიდებელ სახელმწიფოს დაარსებასო. ჩვენმა დასელებმა, რასაკვირველია, მაშინვე განგაში ასტეხეს; „მოგზაურ“-მა არც კი დაუჯერა ბ. რამიშვილს: აქ ან რაღაც თვალთ-მაქცობაა „ან არა და გაუგებრობა, თორემ სოციალდემოკრატები როგორ დახურდავდებოდნენ ან დაწვრილმანდებოდნენ ისე, რომ ეროვნულ საქმეში ჩარეოდნენო. ბ. რამიშვილი ეხლა უპასუხებს „ივერია“-ში იმათ და ამტკიცებს, რომ გაუგებრობა მხოლოდ ჩვენის დასელების მხრივ არისო. ჯერ თვით ფაქტის შესახებ ბ-ნი რამიშვილი ამბობს:

> ჩვენ გვსურს სამუდამოდ დავარწმუნოთ ბ-ნი მახარაძე და მისი ამხანაგები, რომ ნორვეგიის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია აღფრთოვანებით შეხვდა შვიდ ივნისს მომხდარ ეროვნულ რევოლიუციას და ამიტომაც მოვიყვანთ კიდევ სხვა ციტატებს. „დამახასიათებელი და ნორვეგიისათვის ხელსაყრელი გარემოება არის ის, რომ ამ ქვეყანაში ყველა—დაწყებული უკიდურეს მემარჯვენეთაგან უკიდურესს მემარცხენეებით გათავებული—სავსებით შეთანხმებულია, ნაციონალურ დამოუკიდებლობისათვის ბრძოლას მთელი ძალღონე მოანდომონ“, სწერს „შვეზებულ გერმანულ სოციალ-დემოკრატიულ პარტიის“ ცენტრალური ორგანო (იხ. „Yorwaerts“ № 186). „სოციალ-დემოკრატია სავსებით თანახმაა სხვა პარტიებთან ამ კითხვაში და აღუთქვა მთავრობას ლოიალური დახმარება“ (იხ. იგივე ორგანო, № 135).
>
> მკითხველი ნათლად ხედავს, რომ ნორვეგიის მშრომელი ხალხი მართლაც თანაგრძნობით შეხვედრია სეპარატიულ აქტს.

შემდეგ ავტორი არსებითად ეხება საგანს და უხსნის ჩვენს დასელებს—რას ნიშნავს ეროვნულ თვით-გამორკვევის პრინციპის გამარჯვება:

> მოგეხსენებათ, ნორვეგია წინათაც დამოუკიდებელ სამეფოს წარმოადგენდა, შვეციასთან აერთებდა მხოლოდ საერთო მეფე და საერთო საგარეო პოლიტიკა. საგარეო საქმეთა გამგეობა შვეციამ იგდო თავის ხელში, რაც თანასწორობის პრინციპს ეწინააღმდეგებოდა. ნორვეგიამაც მოინდომა შელახულ უფლების აღდგენა და საკუთარ ელჩთა დანიშვნის უფლების მოპოება, მაგრამ, რადგან მეფემ სტორტინგის შესაფერი დადგენილებანი არ დაამტკიცა, კავშირი შვეციასთან სამუდამოდ გაწყვეტილ იქმნა. აი, ამ დადგენილებაში დავინახეთ ჩვენ (და განა მარტო ჩვენ?!) ეროვნულ თვით გამორკვევის პრინციპის გამარჯვება. შვეცია-ნორვეგიაში არ არსებობდა ეროვნული საკითხი იმ ბარბაროსულის ფორმით, როგორც ეს სხვაგანაა, მაგრამ, მაგარიც ის არის, რომ ნორვეგიელთ უფრო ნაზი ეროვნული გრძნობა ჰქონიათ, ვიდრე ზოგიერთ სექტანტებს. ნორვეგიელთა ეროვნული გრძნობა იყო შელახული და ეს კი საკმარისი იყო, რომ ნორვეგიის ერი სეპარატიზმის მომხრე გამხდარიყო.
>
> ასეთი აზრისაა ყველა, ვინც ნორვეგიელთა პოლიტიკურ ცხოვრების მიმდინარეობას დაახლოვებით გასცნობია. ყველაზე უფრო საინტერესო ის არის, რომ ასეთსავე აზრს ემხრობა მარქსისტული და სოციალ-დემოკრატიული გაზეთი Yorwaets, რომელშიაც სხვათა შორის, სწერია: „ის გარემოება, რომელმაც გამოიწვია უნიის მოსპობა, სახელდობრ კლასთა დანიშვნის უფლების მოპოების სურვილი, პირველ შეხედვით არც ისე დიდმნიშვნელოვანია, რომ ასეთი შედეგი გამოიწვიოს. მაგრამ ნორვეგიელთ დიდი ხანია არა მოსათმენ გარემოებად მიაჩნიათ, რომ მათ ინტერესებს უცხოეთში იცავდნენ პირნი, რომელნიც თავის თავს შვედელებად გრძნობდნენ. შვეციის მთავრობას რომ თავის დროზე დაეთმო და შეძლება მიეცა ნორვეგიელთათვის საკუთარი ელჩები ჰყოლოდათ, აშკარაა, რომ ეს შვეციის ინტერესებსაც არ ავნებდა“.
>
> „თუ ვინმემ არ იცოდა გამოცდილებით, ის შვეცია-ნორვეგიის უნიის გაწყვეტაში საუკეთესო დამამტკიცებელ საბუთს ჰპოვებს, თუ რა ძალა აქვს ნაციონალურ გრძნობას, თუ ის შეკავშირებულია ხალხის თვითგამორკვევის უფლების თავისუფალ იდეალებთან. ნორვეგიის ერი, 1814 წელს ნივთიერად ღარიბი და სულიერად უმნიშვნელო, მას შემდეგ უნიის დახმარებით ყოველ მხრივ საკვირველად გაიზარდა. ორთქლმავლით მიმოსვლა, ვაჭრობა და ინდუსტრია შეადგენს მატერიალურ საფუძველს იმ კულტურისას, რომლის დიდება მსოფლიო პოეტებთან ერთად მთელ ქვეყნიერებას მოედო. და ამ ერს, რომელიც ასე დარწმუნებულია თავის ძალაში, რომელსაც ჩრდილოეთში გაკვირვებით და შურიანის ირონიით „მოწინავე ერს“ უწოდებენ, ასეთ ერს შეეძლო უცხოეთთან დამოკიდებულება ჰქონოდა მხოლოდ შვედელ მინისტრთა შემწეობით და დროგამოშვებით უნდა ეთხოვა მეზობელ ერისაგან ნაციონალურ მთავრად მეფე, რომელსაც, რასაკვირველია, არ შეეძლო ეგრძნო და ეფიქრა როგორც ნორვეგიელს, ძალიანაც რომ მოენდომებინა თავის აუსრულებელ მოვალეობის სინდისიერად შესრულება“...
>
> ჩვენს მოკამათეს, რომელსაც ეკონომიურ ფაქტორის მეტი არა სწამს რა, ძლიერ გაუკვირდება, როდესაც გაიგებს, რომ ნორვეგიელნი დაჟინებით თხოულობდნენ, რომ საერთო მეფეს ნორვეგიაში ოფიციალურად იხსენიებდნენ ნორვეგია-შვეციის მეფედ და არა შვეცია-ნორვეგიისა, როგორც ეს უნიის დროს იყო. აი, რა წვრილმანს რამეს შეუძლია ააღელვოს ეროვნული გრძნობა! ეკონომიურ ფაქტორის ძლიერებით დაბრმავებულნი ამ ფაქტს, რა თქმა უნდა, ვერ გაიგებენ, მაგრამ, საბედნიეროდ, საკამათო საგანს ეს მუხლი არ შეადგენს. ნორვეგია in corpore თხოულობდა საგარეო პოლიტიკაშიაც სრულ გათანასწორებას და ამ ძვირფას პრინციპის დასაცველად უნიის გაწყვეტასაც არ შეუშინდა. აი, იმ ფაქტში ვხედავთ ეროვნულ თვით გამორკვევის იდეის გამარჯვებას და არა საკუთარ მეფის მოწვევაში, როგორც ეს ბატონ ფილიპე მახარაძეს მოსჩვენებია. პირიქით, ნორვეგიის ერი რესპუბლიკანურ წყობილების მომხრეა, როგორც ეს წინადაც აღნიშნული გვქონდა, და თუ, მიუხედავად ამისა, სტორტინგმა მეფის მოწვევა აჯობინა, ეს მოხდა ადვილად გასაგებ პოლიტიკურ მოსაზრებათა გამო. ეს იყო არა დიდ-მნიშვნელოვანი კომპრომისსი ევროპის სხვა სახელმწიფოთა წინაშე, რომელთაც ადვილად შეეძლოთ სკანდინავიაში მომხდარ ცვლილების წინააღმდეგ პროტესტი განეცხადებინათ. მიუხედავად ამ არა სასიამოვნო კომპრომისსისა, ნორვეგიის ერი en masse მაინც დიდის აღტაცებით მიეგება შვიდ ივნისს მომხდარ ისტორიულ ფაქტს, რადგან მის ნაზ ნაციონალურ გრძნობას არავითარ ოპეკის ატანა არ შეეძლო, რაც მცირე და უმნიშვნელოც უნდა ყოფილიყო იგი. სრულ ეროვნულ დამოუკიდებლობის დეკლარაციაში დაინახა ევროპის დემოკრატიამ ეროვნულ თვითგამორკვევის პრინციპის გამარჯვება და, თუ ბ-ნი მახარაძე მაინც თავისას გაიმეორებს, მაშინ ჩვენ მას ვეღარ ვუშველით....

უბედურება ის არის, რომ ჩვენის დასელების გონება ბრმავდება ხოლმე, როგორც-კი ეროვნებაზე ლაპარაკი ჩამოვარდება. ნორვეგიის სოციალდემოკრატიას-კი არა, მარქსიც რომ გაცოცხლდეს და ეროვნულ ავტონომიის კანონიერებაზე სთქვას რამე, იმასაც აღარაფერს დაუჯერებენ...

თელავის მაზრის სამღვდელოების კრება

8—9 აგვისტოს თელავში, მღ. ი. მიუკაშვილის თავმჯდომარეობით სასულიერო სასწავლებელში მოხდა მაზრის სამღვდელოების კრება. დაესწრო 30-მდე მღვდელი და 40 დიაკვანი. კრებები მეტად საინტერესო იყო. საკითხების განხილვას და გადაწყვეტას მოუნდა კრება და ბოლოს დაადგინეს: 1. გამოეცხადოს თანაგრძნობა და თანხმობა საეპარქიო კრების 28 მაისის და 31 ივნისს დადგენილებას, რადგან ამ კრებას თელავის სამღვდელოებიდან ძლიერ ცოტა დაესწრო; 2. არა თუ ყოფილ ბლაღოჩინებს არ შეუძლიათ მიიღონ ახლად ეს თანამდებობა, არამედ სხვა მღვდლებსაც არ შეუძლიათ ამ თანამდებობის მიღება. თელავის მაზრის ერთ ბლაღოჩინს უკვე უარი განუცხადე-

---

რადგან მათრახი, იმის აზრით, კვალიფიცირებული სიკვდილი იყო, ესე იგი სასტიკ წამებით სიკვდილი. სამხედრო პირთ და საზოგადოდ სამხედრო სამართალში მიცემულთ, რაც ნიკოლოზის პირველის დროს 40 შემთხვევაში იყო შესაძლებელი—სასიკვდილოდ სცემდნენ შპიცრუტენით (თავგამოსავლიანი რკინის მათრახით) და იშვიათი იყო გაეძლო ვისმეს 6,000 ანა და 12,000 დარტყმისათვის. 1863 წლის 17 აპრილის კანონის ძალით, რომელმაც ხორციელი უმძიმესი სასჯელი გააუქმა, სიკვდილით დასჯა მაინც ხშირი იყო, 1866 წლიდან ხომ დაიწყო სიკვდილით დასჯა, განსაკუთრებით პოლიტიკურ დანაშაულობისათვის და 1878 წლიდან განსაკუთრებით გახშირდა ესა.

კანონმდებლობაში ცოტა და განსაკუთრებულ შემთხვევებისთვის არის მოხსენებული სიკვდილით დასჯა, მაგრამ ჩვენში სამხედრო წესდების ძალით (სტ. 91 და 279), გაძლიერებულ დაცვის წესის ძალით და 1893 წლის 13 სექტემბრის კანონის ძალით კავკასიასა და სტავროპოლის გუბერნიაში ძალიან ხშირად მიჰმართავენ ხოლმე სიკვდილით დასჯას, რომ ამით აღმოფხვრან ავაზაკობა... გაძლიერებულ დაცვის წესების ძალით, ადმინისტრაციას შეუძლიან სისხლის სამართლის საქმეები სამხედრო სასამართლოს გადასცეს განსახილველად და მაშინ იმათ, რომელთაც იარაღით წინააღმდეგობა გაუწევს მთავრობას, ანა და თავს დაესხნენ სამხედრო და პოლიციის მოხელეს ან საზოგადოდ, სამსახურის ასრულების დროს, თუ ამ დამნაშავეობას მკვლელობა ან დაჭრა და დასახიჩრება მოჰყვა, ან ცემა და ცეცხლის წაკიდება, ასეთი დამნაშავენი სიკვდილით უნდა დასაჯონ.

ახალის დებულებით სიკვდილი მიესჯება მხოლოდ განსაკუთრებით საყურადღებო პოლიტიკურ დამნაშავეს. დებულების შემდგენელნი განმარტებით მოხსენებაში სრულიად წინააღმდეგობას აცხადებენ სიკვდილით სასჯელის შესახებ და ამბობენ, რომ რუსეთის კოდექსიდან შესაძლებელია სიკვდილით დასჯა სულ ამოიღონ სასჯელთა სიიდანაო. „მაგრამაო,—განაგრძობენ დებულების შემდგენელნი,—რადგან ამ სასჯელის გაუქმებას, მარტოოდენ იურიდიულ მხარეს გარდა, აქვს საყურადღებო პოლიტიკური მხარეც, რომელმაც საჭირო გავლენა უნდა იქონიოს, რათა აღიარებულ იქმნას დროის შესაფერისად თუ არა სიკვდილით სასჯელის გაუქმება,—სარედაქციო კომისიამ საუკეთესოდ ჩასთვალა ამ საკითხის გადაწყვეტა სახელმწიფო საბჭოსათვის მიენდოო“. ახალი დებულება სიკვდილით არა სჯის მცირე წლოვან დამნაშავეთ, მაგრამ ამის ნაცვლად სამუდამო კატორღას უსჯავს. რუსეთის კანონმდებლების მიმოხილვიდან ვხედავთ, რომ რუსეთში მცირე გამონაკლის გარდა, სიკვდილით სჯიან მარტო პოლიტიკურ დამნაშავეთ. და როგორც სამართლიანად შენიშნავს გაზეთი, ძნელად თუ იქმნება ისეთი ბოროტ მოქმედება, რომლის შესახებაც ნაკლების თქმა შეიძლებოდეს დანაშაულისათვის სიკვდილით დასჯის საჭიროებაზე, როგორც პოლიტიკური დანაშაული.

სიკვდილით დასჯის დახასიათების დასასრულებლად მოვიყვანთ გეტმანის სიტყვას, რომლითაც იგი თავის წიგნს ათავებს: „სიკვდილით სასჯელი უსამართლობა და უსამსობაა, უწყალობა და უადამიანობაა, უზნეობაა და არა სამართლიანობა“.

განდეგილი.

მდებობაზე, მეორემ იქვე დააწერინეს [illegible] უარის თქმაზე და მესამემაც მისწერა [illegible] გაგზავნის შემდეგ, რომ მეც დღეიდან თავს ვანებებ და ქადაგებასაც გავგზავნით; 3. სასულიერო მთავრობასთან შეუწყვეტონ ყოველივე დამოკიდებულება; 4. თემისგან სასულიერო სასწავლებლის გამგეობის და საეპარქიო სკოლების საბჭოს თემის განყოფილების წევრნი, სასულიერო პირთაგან, უარს აცხადებენ წევრობაზე, ვიდრე სასურველი რეფორმები არ მოხდება სასწავლებელსა და სამრევლო სკოლებში. ამასთან არავინ არ უნდა მიიყვანოს თავისი შვილი ხსენებულ სასწავლებლებში; 5. სამრევლო სკოლების გამგენი და სჯულის მასწავლებელნი უარს აცხადებენ ამ თანამდებობაზე; 6. სამრევლო სკოლების მეთვალყურე, იგივე თემის საეპარქიო სკოლების საბჭოს განყოფილების თავმჯდომარე, უარს აცხადებს ამ თანამდებობაზე და არავის არ შეუძლიან მიიღოს ეს თანამდებობა; 7. კოდის ფურის და სხვა ჯამაგირის შესახებ, რომელსაც მრევლი იხდის მღვდლის სასარგებლოდ, დაადგინეს, რომ თვითონ არაფერი მოითხოვონ და დაკმაყოფილდნენ მხოლოდ იმით, რასაც მრევლი მისცემს თავის ნებით.

დიდი ხანი იბაასეს დიაკვნების წილის შესახებ. ეს უკანასკნელნი მედგრად თხოულობდნენ ნათოსხალის მაგივრად მესამედს მღვდლები-კი უარზე იდგნენ, ერთის გარდა. ამის შესახებ დაადგინეს: 8. ეს საკითხი გადაეცეს განსახილველად მომავალ საეპარქიო საბჭოს. ასეთ რედაქციას დიაკვნები არ დასთანხმდნენ, საეპარქიო კრებამდე გვაძლიეთ მესამედი და მერე როგორც კრება გადასწყვეტს დავთანხმდებითო, და რადგან ეს მღვდლებმა არ მიიღეს, დიაკვნებმა სთქვეს, ბოიკოტს გამოვაცხადებთო და დარბაზიდან გავიდნენ; 9. საეპარქიო სხდომაზე დასასწრებლად დეპუტატებად დარჩნენ ისევ ძველნი: შიუკაშვილი, მთვარელიშვილი, მაისურაძე, გარდიაშვილი, ფერტაია და ფხალაძე; 10. საეპარქიო სხდომას დაევალოს იშუამდგომლოს იმ კანონის შეცვლის შესახებ, რომ მღვდლებს ნათოფრას გახდის ე. ი. მღვდლობიდან გადაყენების შემდეგ შეეძლოთ სახელმწიფო სამსახურში შესვლა მაშინვე და არა ათი წლის შემდეგ, როგორც ეხლაა.

ამით გათავდა ეს სხდომა. კრებებს გარეშე პირნიც ესწრებოდნენ, თუმცა ზოგი წინააღმდეგი იყო. ერთმა მღვდელმა მოითხოვა გარეშე ხალხის დასწრება, მაგრამ კორესპონდენტებისაც არა, რადგან სულ პრესის ბრალია, რომ სასულიერო წოდებას ასე უცქერიანო.

ბოლოს კრებას მოხსენდა გრემში ხალხის დახოცვის ამბავი და გადასწყვიტა, მომავალ კვირას ყველა სოფელში პანაშვიდები გადაიხადონ დახოცილთა სულის მოსახსენებლად.

რუსეთის ქრონიკა

პოლიტიკურ საქმეთა განხილვა. „რ. ს."-ის სიტყვით, სევასტოპოლში მიეღიათ ადგილის სამოსამართლო პალატის განყოფილებას, რომელმაც თორმეტი პოლიტიკურ საქმე უნდა გაარჩიოს.

აგრარულ მოძრაობის დროს მომხდარი მკვლელობა. პოლტავის გუბ. სამხედრო სასამართლო ამ ცოტა ხანში განიხილავს მებატონის ვოიტენკოს მამულში მომხდარ აგრარულ მოძრაობა-აკლებისა და ვოიტენკოს შვილის მოკვლის საქმეს. ამ საქმეში ბრალი ედება 14 კაცს და მოწმედ 70 კაცია დანიშნული. ბრალდებულთა დამცველებად იქმნებიან ვექილები: რატნერი, ნეკრუტკოვი, მოლგილიანსკი და სამხედრო დამცველი—კაპიტანი ხოშიცკი და კაშინოვი. („რ. ს.").

ბალტიის მხრის არეულობა. საგანგებოდ დანიშნულ კომისიას გამოუკვლევია ბალტიის მხრის გამძვინვარებული მდგომარეობა ხალხისა და ის აზრი შეუდგენია, რომ თუ ერთი კვირის განმავლობაში არ ჩაჰქრა ეს მდგომარეობა, აუცილებლად საჭირო იქმნება ამ მხარეში გენერალ-გუბერნატორის დანიშვნა დიდის უფლებებით, სწერს („რაზ.").

უწესოება საპატიმროებში. ამ მოკლე ხანში გაიგზავნება სენატორი რუსეთის ყველა საპატიმროს სარევიზიოდ. რევიზიის მიზეზი ის არის, რომ საპატიმროებში მეტად გახშირებულა პატიმართა შორის არეულობა-აჯანყებანი. „რ. ს."

ოფიცრის დაჭრა მატროსების მიერ. ვლადივოსტოკში, 2 აგვისტოს სამხედრო სასამართლოში გაურჩევიათ ოთხ მატროსის საქმე, რომელთაც ქვები უსროიათ ოფიცრის კოლოდოჩკინისათვის ქალაქ გარეთ. მატროს სპირინისათვის სასამართლოს სიკვდილით დასჯა გადაუწყვეტია, ხოლო დანარჩენთათვის სადისციპლინო ბატალიონში გაგზავნა სამის წლის ვადით. („ს. ო.").

ტელეფონით შეერთება რუსეთის დიდ ქალაქებისა პარიზთან. „რ. სლ."-ს ატყობინებენ პარიზიდან, რომ კაპიტალისტთა კომპანია, რომელმაც წინადადება შეიტანა ტელეფონებით შეაერთოს რუსეთის უმთავრესი ქალაქები, ეხლა მეორე პროექტის განხილვას შესდგომია, რომ ტელეფონით პარიზიც შეუერთოს პეტერბურგსა და მოსკოვს.

გემს „სინოპ"-ზე მომხდარ არეულობის საქმის განხილვა. 2 აგვისტოს სევასტოპოლის სამხედრო სასამართლოში ხალხის თანდასწრებით გაურჩევიათ ჯავშნიან გემ „სინოპ"-ზე მომხდარ არეულობის საქმე. სასამართლოს განცხადებით, გამოძიებას ვერ გამოურკვევია ცხადად, ვის განუზრახავს პირველად ეს საქმე, ვინ ყოფილა ხელმძღვანელი და წამქეზებელი, და ამიტომ ხუთი ბრალდებული გაუმართლებია, თორმეტისათვის ზოგიერთ უფლებათა ჩამორთმევით 1-დან 3 წლამდე სადისციპლინო ბატალიონში გაგზავნა მიუსაჯნია. („ს. ო.").

ვითომდა ხალხური გაზეთი. ხარკოვის გუბერნატორს განკარგულება მოუხდენია, ადგილობრივი ოფიციალური გაზეთი „ხარკ. გუბ. ვედომოსტ"-ი გაეგზავნებას სოფლელებს, როგორც სახალხო გაზეთი.

ომის მსხვერპლი. პეტერბურგის საქალაქო საბჭოში მისულა 6 აგვისტოს ერთი დედაკაცი, რომლის ქმარიც ქალაქის მოხელედ ყოფილა და სათადარიგო ჯარის კაცად გაუწვევიათ და უთხოვნია, რომ დანიშნული შემწეობა არა მეოფნის და მომიმატეთო. დედაკაცი აქედან საქველმოქმედო განყოფილებაში გაუგზავნიათ და იქ შემწეობის მომატებაზე უარი განუცხადებიათ. მაშინ დედაკაცს დაუგდია სკამზე ერთი წლის ძუძუთა ბავშვი და დაუყვირნია: „არ მომიმატებთ და მაშ აჰა, თქვენ გაზარდეთ ეს ბავშვიო" და გარედ გამოსულა. განცვიფრებულ და თავ-გზა დაკარგულ მოხელეებს ვეღარ მოუსწრიათ დედაკაცის შეჩერება და ბავშვი პოლიციაში გაუგზავნიათ მშობლის ჩასაბარებლად. („ს. ო.").

არეულობანი და წარმოდგენები. ტაშკენტის გენერალ-გუბერნატორთან წამდგარან სტუდენტები და უთხოვნიათ კონცერტისა და წარმოდგენის გამართვის ნება იმათ სასარგებლოდ, ვინც წელს საშუალო სასწავლებელი გაათავა. გენერალ-გუბერნატორს უარი უთქვამს და დაუმატებია, რომ კონცერტებსა და წარმოდგენებს ამ ჟამად ყოველთვის რაიმე არეულობა და ხიფათი მოსდევს ხოლმე. („სლ.").

წერილები

დაბა ცხინვალი. 7 აგვისტოდან ცხინვალში ზეკუცია ჩაგვიყენეს. ხალხის ხარჯზეა ასი ყაზახ-რუსი და ასი დრაგუნი თავიანთის ცხენებით. ცხინვალს მათი შენახვა სულ ცოტა დღეში თხუთმეტ-თექვსმეტი თუმანი უჯდება. 8 აგვისტოს ზეკუციის უფროსმა ხალხი დაიბარა და დაახლოვებით შემდეგი უთხრა: არსად ის ამბები არ მომხდარა, რაც აქ, ცხინვალში, მოხდა: ჯერ იყო და თქვენი ბოქაული დასჭერით, მერე ორტევის მამასახლისი მოჰკალით, შემდეგ შიგ შუა ცხინვალში აპალონ მაჩაბელს თოფი ესროლეთ და სასიკვდილოთ დასჭერით, ამ ბოლო დროს შუადღისას ხერხეულიძეს იარაღი წაართვით და ბევრი კიდევ სხვა ამისთანა ამბები ჩაიდინეთო. გავიგეთ აგრეთვე, რომ რაღაც წითელი მილიცია შეგიდგენიათ და ეს ამბები სულ იმ მილიციის მოქმედებააო. ამიტომ, თუ გინდათ, რომ თავიდან აგცდეთ ის გადასახადი, ის ხარჯი, რასაც ეხლა ზეკუცია მოგაყენებთ, მოგვეცით თქვენი მოთავეები, გაეცით ვიღაც აგიტატორები რომ მოსულან და თქვენს მშვიდობიან ცხოვრებას არღვევენო. ხალხმა უპასუხა, მართალია, ცხინვალში მოხდა ეს ამბები, მაგრამ ხალხი სრულებით უდანაშაულოა. თუ ვინმე დაიჭრა და მოკვდა, ეგ სულ, ჩვენის აზრით, პირადი, კერძო ანგარიშების და მტრობის მიზეზით მოხდა და ცხინვალი რად უნდა დაისაჯოს სულ უსამართლოდ. ჩვენ არც მოთავეები და არც აგიტატორები გვყავს; ჩვენ ყველამ კარგად ვიცით, რაშიაც არის საქმეო.

5 აგვისტოს, ღამე სოფელ ერედვში მოჰკლეს გზად მიმავალი ცხინვალის მცხოვრები კოლა კასრაძე. უკანასკნელი ბაყალი იყო და ოსებში მიდენილიყო სავაჭროდ. გზა დაჰკარგოდა და შემთხვევით ს. ერედვში ფავლენიშვილების სახლის წინ ჩაევლო. გამოვარდნილიყო ილიკო ფავლენიშვილი, ორჯელ ესროლა თოფი და საცოდავი იქვე მოეკლა, გამომძიებელთან თავ. ი. ფავლენიშვილმა განაცხადა, სახლში მომივარდა და მოვკალიო. ერედვში მცხოვრები ფავლენიშვილები არ მოურიგდნენ გლეხებს. მათ ორმოცდა ათი ყაზახ-რუსი დაიბარეს.

ცხ. ნვალელი

წერილი რედაქციის მიმართ

I

ბატონო რედაქტორო! უმორჩილესად გთხოვთ თქვენს პატივცემულ გაზეთში შემდეგ წერილს ადგილი მისცეთ.

წარსულ ივლისში მე ამომარჩიეს სამედიატორო სასამართლოს თავმჯდომარედ. ჩემს გარდა, მედიატორებად აირჩიეს ოთხი კაცი. სასამართლოს უნდა გაერჩია ფოთში ბ-ნთ სახოკიას და ჩხიკვიშვილის საქმე, გურულ და მეგრელ მუშათა უთანხმოებით გამოწვეული. საქმის გარჩევა დაიწყო 6 აგვისტოს. გარჩევას დიდ-ძალი ხალხი დაესწრო. როგორც შემდეგში აღმოჩნდა, თითქმის მთელი დამსწრე საზოგადოება ორ პარტიად იყო დაყოფილი: ერთი ბ-ნ სახოკიას უჭერდა მხარს და მეორე—ბ-ნ ჩხიკვიშვილს. თანდათან ამ ორ პარტიის ურთიერთობა გამწვავდა, და, როდესაც სასამართლო ბ-ნ ჩხიკვიშვილის მოწმის შეკითხვას შეუდგა, გარედან გაისმა ყვირილი და მუქარა ამ მოწმის მიმართ. შემდეგ ხალხი ფანჯრებიდან ოთახში შემოვარდა და ყველაფერი აირ-დაირია. ამ არეულობის დროს ბ-ნ ჩხიკვიშვილის მეორე მოწმეს შეურაცხყოფა მიაყენეს მოქმედებით. სასამართლომ ჯერ შესწყვიტა და შემდეგ დახურა სხდომა. ამრიგად სამედიატორო სასამართლომ, მისგან დამოუკიდებელ მიზეზებისა გამო, ვერ დაამთავრა ის საქმე, რომელიც მას მინდობილი ჰქონდა. ზემოხსენებულ გარემოების გამო, მე შეუძლებლად ვსთვლი ჩემდა-თავად მონაწილეობა მივიღო სამედიატორო სასამართლოში და ამიტომ, ვიხდი-რა ბოდიშს ბ-ნთ სახოკიასა და ჩხიკვიშვილის წინაშე, უარს ვაცხადებ თავმჯდომარეობაზე.

ნაფიცი ვექილი ვასილ ალექსანდრეს ძე დემიდოვი.

II

ბატონო რედაქტორო!

გთხოვთ ამ წერილს ადგილი დაუთმოთ უახლობელეს ნომერში. როგორც მკითხველებს მოეხსენებათ, 16, 17 და 18 ივნისს გაიფიცნენ სოხუმის საპყრობილეში მყოფი ტუსაღები. სხვათა შორის, მოითხოვეს წიგნთ-საცავის დაარსებაც. გაფიცვა ტუსაღთა სასარგებლოდ დასრულდა, ეღირსათ წიგნთ-საცავის დაარსების ნებაც. ერთმა ტუსაღმა ბ-ნმა ს. არობელიძემ, რომელიც ამ სამი თვის წინად პოლიციამ დააპატიმრა და მერე გამოუშვა, რადგან, არავითარი გამამტყუნებელი საბუთი არ აღმოჩნდა, გამოსვლისათანავე იტვირთა წიგნთ-საცავისთვის შრომა და, მისდა სასახელოდ, კარგადაც შეასრულა. შეაგროვა ქართულ-რუსული წიგნები 41 მან. 62 კაპ. ღირებული, სულ 193 ცალი. ამათგან 103 წიგნი გადასცა საპყრობილის ზედამხედველს, რომელსაც მიღების ბარათი ჩამოერთვა და 90 ცალი გადაეცა პოლიცმეისტერს. მიღების ბარათი ამისგანაც აღებულია. იმედია, პოლიცია დიდხანს არ გააჩერებს ამ წიგნებს და მალე მიაწვდის საპყრობილეში მყოფთ. ამასთანავე ვაახლებ რედაქციას სიას შემომწირველთა *) და დიდს მადლობას ვუთვლით ყველა იმათ, ვინც დაგვეხმარა ამ საქმეში. მივმართავთ აგრეთვე სოხუმის საზოგადოებას თხოვნით, ნუ დაიშურებს ორიოდე გროშს წიგნთ-საცავის გასადიდებლად. დრო ცვალებადია. ყოველივე მოსალოდნელია ცხოვრებაში. **ხ. დ.**

III

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ ამ ჩვენთვის საჭირო წერილს ადგილი დაუთმოთ თქვენს პატივცემულ გაზეთ „ცნობის ფურცელ"-ში. ჩვენ, მცხოვრებნი სოფ. ლაშეს (შორაპნის მაზრა), განურჩევლად წოდებისა, ვაცხადებთ, რომ დღემდის ჩვეულებად დადებულს დღესასწაულს „მარიობას" 15 აგვისტოს აღარ ვიხდით, რადგან ბევრნი ამის მიზეზით ვალებში ჩავცვივდით და ამას გარდა ხშირად დიდი უსიამოვნება და ელეტა-ხოცვაც ჩნდება ხოლმე. უმორჩილესად ვთხოვთ ნათესავთა და ნაცნობთ, ზემოდ მოხსენებულს დღეს ნუ მობრძანდებიან რადგან, არავითარი მზადება სტუმრის დასახვედრად არ გვექნება. ვინც, განურჩევლად წოდებისა, ამ ჩვენს პირობას დაარღვევს, გადაიხდის ჯარიმად ოც-მანეთს სოფლის საერთო საქმის სასარგებლოდ.

სოფლის მონდობილობით. გრ. აბაშიძე, გიგო გეგეშიძე, ალექსანდრე რევაშვილი, ერმალოზ ფანფარაძე, გიორგი შავიძე, ივანე ბიჭიაძე გელეშვილი, ალექსი მესირიძე, გიორგი ცქიტიშვილი, მიხეილ სამხარაძე, ტარასი მანჯავიძე, კიმოთე ქველიძე, ლიაშკო, დიმიტრისძე ლეჟავა, კოსტანდილე მანჯავიძე, სერგო დევდარიანი, ერპიტე მანჯავიძე.

IV

ბატონო რედაქტორო!

უმორჩილესად გთხოვთ თქვენის პატივცემულ გაზეთის საშუალებით გამოაცხადოთ შემდეგი: ჩვენ სოფელ ციხე-სულორში (ქვემო იმერეთი) მცხოვრებთ სოფლის კრებაზე, ამა ხუთს აგვისტოს, დავადგინეთ, ამიერიდან არ გადვიხადოთ ჩვეულებრივი დღესასწაული „მარიობა" თხუთმეტ აგვისტოს, რადგან ამ დღესასწაულს ცუდი შედეგი ჰყვება: კაცის ჩეხვა, კვლა და უბრალო ხარჯი. ამით ვაცნობებთ ნათესავთ და ნაცნობთ, არ მობრძანდნენ სადღესასწაულოდ. ვინც ჩვენგანი ამ დადგენილებას დაარღვევს და სტუმრებს მოიპატიჟებს, გადახდება ჯარიმა სოფლის სასარგებლოდ ოცი მანეთი.

კრების მონდობილობით **ერმილე მვალიანი**.

ღამის დეპეშები

„პეტერბურგის დეპეშათა სააგენტოსაგან"

12 აგვისტო.

სრეტენსკი, 10 აგვისტო. წყლის სიპატარავის გამო ორის თვით შეჩერების შემდეგ გუშინ წავიდა პირველი საქონლის გემი სრეტენსკიდან ბლაგოვეშჩენსკს. ბლაგოვეშჩენსკისა, ხაბაროვსკსა და ვლადივასტოკს გასაგზავნი საქონელი მოგროვილია 500,000 ფუთამდე.

პორტ-სმუტი, 11 აგვისტო (რეიტერი). ავტორიტეტულ წყაროდან იუწყებიან, რომ წინადადება სახალინის ჩრდილოეთ ნაწილს ყიდვის შესახებ იმდროინდელია, როცა ან უარყოფილი მოთხოვნა იყო წარმოდგენილი სამხედრო ხარჯის გადახდაზე. იაპონია თხოულობს მხოლოდ სამხედრო ხარჯის ანაზღაურებას იმ სახით, ვითომც სახალინის გამოსასყიდად. რუსეთი არ გადაიხდის კონტრიბუციას, რა სახითაც უნდა იყოს იგი, არ შეუძლიან აგრეთვე ჩასთვალოს იაპონიის წინადადებანი ზავის გულწრფელ სურვილად. რათა ამერიკის ცდა წარმატებით წავიდეს, იაპონია უნდა აიძულონ კონტრიბუციის მოთხოვნაზე უარის თქმას. ზავი მხოლოდ იმ შემთხვევაში იქნება უზრუნველ-ყოფილი, თუ იაპონია უარს იტყვის კონტრიბუციაზე.

პარიზი, 11 აგვისტო. „ტან"-ი და „ჟურნალ-დე-დება" ამტკიცებენ, რუზველტის წინადადება სახალინის გამოსყიდვის შესახებ ორივე მხარისაგან მისაღებია და აღნიშნავენ, რომ ზავის ჩამოგდების შანსი გაძლიერდაო.

ოისტერბეი, 11 აგვისტო. რუზველტმა ერთ და იმავე დროს მიმართა ტოკიოსა და პეტერბურგს ზავის შესახებ, შეატყობინა რა ორივე მხარის რწმუნებულთ.—„ნიუ-იორკ-ტაიმს"-ი იმ აზრისაა, რომ იაპონიის მოთხოვნები კონტრიბუციის შესახებ შემდეგ საკითხს დაბადავს—შეუძლიან თუ არა იაპონიას ზნეობრივისა და კანონიერების მხრივ მოითხოვოს, აანაზღაუროს ის ზარალი, რომელიც მას მოუვიდა ტერიტორიის დაპყრობაში, რომლისაკენაც მიისწრაფოდა იგი. გერმანიასა და საფრანგეთის მაგალითი არ შეიძლება პრეცენდენტად ჩაითვალოს. თუ იაპონია ქვეყნიერების აზრს აფასებს, იგი არ დაიჟინებს თავისას.

ტოკიო. მოჯიდან გამოსული იაპონიის ტრანსპორტი დაეჯახა ბრიტანიის გემს და ჩაიძირა. დაიღუპა 126 სალდათი, გადაარჩინეს 19

პეტერბურგი. უმაღლესის ბრძანებით შინაგან საქმეთა მინისტრისადმი დამტკიცებულია და წარდგენილი სენატში გამოსაქვეყნებლად ბრძანება იმის შესახებ, თუ როგორ უნდა იმოქმედონ საერობო უფროსებმა ადმინისტრატიულ საქმეების გარჩევის დროს.

ჰელსინგფორსი. დაასაფლავეს ედელფელტი. კუბო მიჰქონდათ სტუდენტებს და მხატვრებს. კუბოს შემდეგ გვირგვინები ამკობდა: პეტერბურგის სამხატვრო აკადემიიდან, სტოკჰოლმიდან, კოპენჰაგენიდან, უნივერსიტეტიდან და სხვა სწავლული საზოგადოებებისა და კორპორაციებისაგან.

„რუსეთის დეპეშათა სააგენტოს"-გან"

12 აგვისტო

ხარბინი, 10 აგვისტო. (საკუთ. კორ.) რათა ჯარები უზრუნველ-ყოფილი გახდნენ საკვებით, უკანა ჯარების მთავარმა უფროსმა აუკრძალა კერძო პირთ იმ ადგილებიდან საკლავ საქონლის გაყვანა ინტენდანტის ნება-დაურთველად.

გუნჯულინი (საკუთ. კორესპ.). 10 აგვისტოს აღმოჩნდა იაპონელების ორის როტის გალაშქრება რკინის გზის გასწვრივ. ლაშქარი შეაჩერა ჩვენმა წინა რაზმებმა.

პორტ-სმუტი. რუზველტი არ ჰკარგავს იმედს ზავის ჩამოგდებისას.

ნიუ-იორკი. იაპონიის რწმუნებულებმა განაცხადეს თუ რუსები არ მიიღებენ ულტიმატუმს—120 მილიონი გირვ. სტერლინგი ნახევარ სახალინისათვის—იმ შემთხვევაში ომის გაგრძელება აუცილებელია. ხმებია, რომ რუზველტმა გადასწყვიტა უკანასკნელი ღონე იხმაროს და მიმართოს პირდაპირ მიკადოსო.

ლონდონი. თუმცა ლონდონის გაზეთების უმეტესობა იაპონიის მოთხოვნებს კეთილ-გონიერად სთვლის, მაგრამ ლიბერალური „დეილი ნიუს"-ი ამბობს, ახირებული იქნება, თუ ორი დიდი სახელმწიფო ყველაფერში შეთანხმდა, გარდა სანაზღაურო ფასისა და ამის გამო განაგრძეს ომიო.

პეტერბურგი. სენატორ პოსტოვსკის გამოძიებამ დაამტკიცა, რომ მოსკოვის სიაზდების ყველა რეზოლუციებს სახელმწიფოს საქმეების მოწყობა-რიგება და მცხოვრებთა შორის სიმშვიდის დამყარება აქვთ მიზნად და, ამიტომ, არ არის საფუძველი სამართალში მისცენ სიაზდების მონაწილენი.

ვარშავა. ვარშავის მაზრაში ომიანობის დროის წესები გამოცხადდა.

რედაქტორ-გამომცემელი ალ. ბ. ჯაბადარი

---

*) სიას უადგილობისა გამო ვერა ვბეჭდავთ. რედ.

განცხადებანი

ტფილისში დაარსდა სპეციალური შრომის მოყვარულთა არტელი. მიიღებს კოტოლნის, სამჭედლო და სასლესარო სამუშაოებს. საქმეებს პირნათლად და კარგად აკეთებს. ადრესი: ელისაბედის ქ. ს. № 190, ოქრუევისა. (30—27)

ქუთაისში
სამ. ბ. თოფურიას
სამკურნალო,
რომელიც იმყოფება მისი უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის მფარველობის ქვეშ. სამკურნალოში 75 საწოლია შინაგან, ნერვებისა, სახირურგიო დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდებ სენით და სულით ავადმყოფებს სამკურნალო არ ღებულობს.
დღიური ფასი საავადმყოფოში შენახვისა და წამლობით 1 მანათიდან 3-მდე.

სიბრძნე-სიცრუე
ახალი გამოცემა
იყიდება ქართველთა ამხანაგობის კიოსკში.

ქუთაისის სათავად-აზნაურო სადგილ-მამულო ბანკის გამგეობა საყოველთაოდ აცხადებს, რომ ამა 1905 წლის ივლისის ოციდან ტფილისში მუდმივად იცხოვრებს ამა ბანკის დირექტორი, დამფასებელ კომისიის წევრი და მამულების გამგე.
ყოველისავე საქმის წარმოება ტფილისის გუბერნიაში სოფლის და ქალაქების დაგირავებულ, თუ დასაგირავებელ მამულების შესახებ, სახელდობრ: სესხის გაცემის თხოვნების მიღება, დოკუმენტების განხილვა და წესიერად გამოწყობა, დაფასება მამულებისა, ანგარიშის გასწორება გამგეობისაგან სესხის გადაწყვეტის შემდეგ, სავალდებულო გადასახადების მსესხებელთაგან მიღება, ვადამდის სესხის მოსპობა, ჩვეულებრივი საჯარო ვაჭრობა იმ მამულებზედ, რომლის სავალდებულო გადასახადები არ იქმნება შემოტანილი, ბანკის მამულების მართვა-გამგეობა, მათი იჯარის გაცემის და გაყიდვის თაობაზედ მოლაპარაკება და დამტკიცება მყიდველის სახელზედ, მოწყობილი იქნება ტფილისს, ქუთაისის ბანკის დირექტორის ე. ნ. აბულაძის სადგომზედ, ოლგას ქუჩაზე № 4/ა, კნეინა დიასამიძის სახლში. ტელეფონი № 445. (წ.)

საკომერციო კურსები
ქალებისა და ვაჟებისათვის
(Тифлисъ, Сололаки, Лермонтовская ул., № 9)
კურსების დანიშნულება ის არის, რომ სპეციალური საკომერციო განათლება შესძინოს მსურველთ, როგორც ქალებს, ისე ვაჟებს, და მოამზადოს ვარჯიშობის შემწეობით ანგარიშის დახელოვნებით მცოდნელი.
სწავლის გათავების შემდეგ მოწმობანი ეძლევათ. 1905—1906 სამოსწავლო წელს შემდეგი საგნები ექნება სასწავლებელი: 1) საკომერციო ეკონომია, 2) საკომერციო არითმეტიკა, 3) ბუხჰალტერია (მარტივი, ორკეცი და საბანკო), 4) არითმეტიკა საანგარიშო ჩოთქი 5) საკომერციო მიწერ-მოწერა, 6) სავაჭრო და სათამასუქო წესდებანი, 7) მსწრაფლ-წერა და წერა-გაკრული და შნოიანი (исправленіе дурнаго почерка).
სწავლა დაიწყება 15 სექტემბრიდან. ახლად შემომსვლელთა მიღება დაიწყება 1 სექტემბრიდან, ყოველ დღე, 10 დილის საათიდან თორმეტამდე და საღამოს 4 საათიდან 8 საათამდე, კურსების სადგომში, სახლი ალექსანდრე ფრიდონოვისა, № 9, სერგიევისა და ლერმონტოვის ქუჩების კუთხეში.
პროგრამები და წესები კურსებისა უსასყიდლოდ შეიძლება მიიღოს მსურველმა კურსების სადგომში და გაეგზავნოს.
ვინც ქალაქს გარეშე სცხოვრობს, შეუძლიან წერილით მიჰმართოს კურსების დამაარსებელ ს. პ. მანუელიანცს, ტფილისს.
უფასოდ ვასწავლით მსურველთ საწერ მაშინაზე მუშაობას, კურსების სწავლა ყოველ დღეა. (24—23)

ბებია ქალი
სოფიო ილიას ასული ვილბორდტ ლოკში
გადავიდა ხაზინის (კაზნაჩეისკის) ქუჩაზე, სახლი № 7 კნ. თუმანოვისა, ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ. (თვ.—255—22)

კბილებს
ვიღებ, პლომბს ვუკეთებ, ვასუფთავებ, ვსვამ ახალ ხელოვნურ კბილებს და ვაშორებ ცუდ სუნს. გ. მ. იობველი. მიხეილის ქ., № 108. გერმანელთა ტაძრის პირდაპირ. ხელ-მოკლეებს იაფად. (80—21)

«წიგ. გამომც. ქართველთა ამხანაგობისა»
კიოსკში
ლორის-მელევის ქუჩა, იქვალექსანდროვის ბაღის კუთხეში, იყიდება ამხ. გამოცემული წიგნები:

დაბადება და აღზრდა ერეკლე ბატონიშვილისა—პოემა ბაჩანაბი. მ. გ.	—	10
იოსებ დავითაშვილის ლექსები	—	50
ბნელი, მოთხრობა—მელანიასი	—	20
ალ. ყაზბეგის I, ტომი	1	
II და III ტომი თითო	1	—
ი. ჭავჭავაძის I ტომი	—	70
იგივე II და III ტომი თითო	—	60
იგივე IV ტ. ორ წიგნათ	—	80
სოფლის კუნწულა, დ. მაჩხანელისა	—	10
სიბრძნე-სიცრუე—საბა სულხან ორბელიანისა	—	40
აკაკი წერეთლის I და II ტ. თითო	—	60
რაფ. ერისთავის I ტომი	—	60
საქართველოს წარსული დრო—პოტტოსი	—	20
აივენგო რომანი—ვალტერ სკოტისა	—	55
სიბრძნე ბალავარისა	—	30
აღა-მაჰმად-ხანის შემოსვლა ტფილისში	—	10
დვინის დაყენება, პროფ. გ. პეტრიაშვილისა	1	50
რძე, მისივე	1	50
ცეცხლითა და მახვილითა, რომანი—ჰენრიხ სენკევიჩისა	—	80
დასტურ-ლამა	—	20
სურათები საქართველოს მეფეთა, დედოფალთა და ბატონიშვილთა	—	25